

ବିନ୍ଦୁରଠି ପାଥ୍ୟକାଣ୍ଡିଙ୍

ବିନ୍ଦୁରଠି
ଲେଖକ





ବିଜ୍ଞାନ ପାଠ୍ୟକାଳୀନ

ବିଜ୍ଞାନ କଣ୍ଠବିହାର

୧୯୬୦


କୃତ
କବି

ସାନ୍ତୋଦୀଙ୍କ ଦେ ହିଲ୍ଲେ

1960



F 15. 326
2






GEORGE GAMKRELIDSE


GEORGIAN
POEMS

1960



中原文庫

中原文化出版社



ზღაპარი თბილისევ

იყო... და შემდეგ არა იყო რა,
 ლვთის უკეთესი რა იქნებოდა?
 გულის დაფლეთა უყვარებდა ყორანს
 და გული მაინც კვლავ მრთელდებოდა.

ცხოვრობდა ერთხელ მგზავრი საწყალი,
 მოხეტიალე, ვინმე პოეტი;
 ნანა მრავალი მან მიწაწყალი,
 ქვეყნები შორი და უცხოეთი.

მას მოეწონა ბევრი ალაგი —
 ვარდის სიწილე ჩამავალ მზისი,
 მაგრამ უერ პოვა ვერსად ქალაქი
 ისე ლამაზი, როგორც თბილისი.

თვალით იხილა შეუსადარი
 ოქრო, სიმდიდრე და განსვენება,
 გულით კი ფიქრობს: მიწა სად არი
 ჩემო თბილისო, შენი შვენება!

შენ გენაცვალოს ქალაქი ყველა;
 ჯობიხარ როს, ვაშინგტონს, პარიზს, —
 თავზე მთაწმიდა გადგია მცველად,
 ძარს ტალღებს აჩწევს დუდუნით მტკვარი.

და კურთხეული კალთას გაფარებს,
 ცხრათვალა მზის ქვეშ ვნებებით თვრები,
 გუგუნი გააქვთ სიონის ზარებს
 და ბანს გუგუნით გაძლევენ მთები.

როს გარიურაჟზე შენი ჭრდები
 მზეს უღიმიან ოქროთაცელ ას;
 გიმღერენ ჰანგებს შენ პოეტები:
 შოთა, აკაკი, ვაჟა-ფშაველა.

მაგრამ თუ ღამის მდუმარე კალთა
 დაფარავს ველებს ნისლით და თრთვილით,
 სული ობოლი გამოვა მტკვართან
 და ატიტლება ბარათაშვილი.

თუ ვარსკვლავებით შემრეანსული
 ცა, თავს დაგყურებს ლურჯი კამარით, —
 შენ გესიზმრება დიდი წარსული:
 დავითის ხრმალი... დროშა თამარის.

იყო და მერე არა იყო რა,
 ლეთის უკეთესი რა იქნებოდა?
 გული კლანჭებით გაჰქონდა ყორანს
 და გული მაინც არა კუდებოდა.

1954.

პველი ჰანგები

ა.

ყველა ვარსკვლავი ცნობილია და დანახული.
 ყველა სამელი გამოცლილი ბოლო წვეთამდე.
 ყველა შარაგზა გავლილი და გადალახული:
 საქართველოდან მიმავალი ინდოეთამდე.
 «მაშ რას დაეძებ ხეტიალით ამ ძეელ ბალებში»⁹
 — მინდა ვაყნოსო ყვავილები ძეელ შირაზისა,
 უისმინო სევდა, მწუხარ თარის ბაიათებში
 და ძეელი ჰანგი ბასიკის და თეიმურაზისა.

ბ.

როცა შაპაბაზს აუსრულდა ნატერა, ზმანებია
 და ქართლ-კახეთი დაიმონა. ბოროტ ზრახვებია
 მან ურჩ კახელებს აუჩეხა ბალ-ვენახები
 და ტყვე მეფენი «გადანათლა» მუსულმანებად.
 წარვიდენ დრონი... და კახეთში ძეელი ბალები
 ისევ აყვავლნენ, გაითურჩქნენ ქორფა ვაზები,
 კვლავ ვახტანგებად გადაიქცნენ შაპნავაზები
 და გაიპარსეს ისევ წვერი, ინით ნალები.

ბ.

ვისრამიანი, ყარამან და როსტომიანი
 პაპაჩემისგან ძელ ბუხრის წინ ხშირად მსმენია,
 მაგრამ, მითხარით, აღ მოსავლურ ფერად გენია·
 და ფანტაზიებს დაჯერებს კაცი ჭკვიანი?
 სულ სხვა რამეა რუსთაველის მწყობრი გალობა.
 პოემის ჩარჩო, მისი გული და ნაპირები!
 ეს არის წიგნი პირიმზის და ნამდვილ გმირები·
 და საქართველოს სინამდვილე და რეალობა.

დ.

ძელ სპარსელებსაც ჰყავდათ წინად დიდი
 მგოსნები:

ომარ ქაიამ, საადი და ნაზი ჰაფიზი, —
 ტებილ შაირების უსტაბაშნი, მზეზე ნაფიცნი
 და გამსჭვალულნი უმწევერგალეს მაღალ
 ოცნებით.

მტვერი და ხავსი გაბატონდა აწ მათ თახჩებში,
 დასჭერნენ ნელი-ნელ შირაზული ვარდის კონები,
 და ხმა ნარნარი ისპაპანის იადონები
 აღარ გალობენ გადარუჯულ სპარსულ ბაღჩებში

9.

მშვიდობით სპარსნო! ძილის პირად თქვენი
ვალია
შეჰერეზადეს უცხო ზღაპრებს დაუგდოთ ყურა.
გაჰერა ჩვენ შორის ძრელებური მტრობა და შური
და ჩვენი გზები სხვა და სხვა მარით მიმავალია,
ჩვენ ვერ დაგვიხსნის მოგონება მინანქარ. -
ბროლის,
თუ ჩაგვეძინა — განქარვდება ჩვენი ხსენება,
ჩვენ გატეხილ ხრმალს სწრაფად უნდა კვლავ
გამრთელება,
ჩვენი გზა არის რუსთველური: მზისა და
ბრძოლის.

8.

ყველა ვარსკვლავი: ცნობილია და დანახული;
ყველა სასმელი: გამოცლილი ბოლო წვეთამდე,
ყველა შარაგზა: განგლილი და გადალახული:
საქართველოდან მიმავალი ინოდეთამდე.

1949.

ქველი სიმღერა

მხიბლავს ეს ჭალა, ეს მთა, ეს ველი,
მივსდევ ვენახებს — ზვრებს უნაპიროს.
და გულში ძევლი სიმღერა მღერის:
«ჰოდ, ნაპირნო, არაგვის პირნო».

თქვენ საჩუქარი მიიღეთ ჩემი:
მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაგუინო.
მკერდნატყვიარი ყვირის ირემი:
«ჰოდ, ნაპირნო, არაგვის პირნო».

იცვალნენ დრონი. თქვენ ქვლავ ძველნი ხართ —
ჭალებო, მთებო შეებით მომზირნო!
დახოცილ ლომთა სისხლით სველნი ხართ,
«ჰოდ, ნაპირნო, არაგვის პირნო».

მსურს, თქვენ ვაზების ზედაშეს ვსვამდე:
მხურვალეს, მზიანს, ჩვენ ქართულ მირნს,
დიდება შენდა უკუნისამდე —
«ჰოდ, ნაპირნო, არაგვის პირნო».

რ.ოცა საღამოს ბინდი აშლილი
დაფარავს ჭალას და ცას საფირონს,
გიმღერებს სევდით ზარათაშვილი,
«ჰოდ, ნაპირნო, არაგვის პირნო».

1947

საჩხერის ლაპა

შეღამდა უკვე. მთების გრეხილი
ჩამოიბურა თალზი ბინდებით.
ძირს მიწა სუნთქვას მკერდგაღელილი,
სავსე ღვთის მაღლით და გარინდებით.

არ მოსჩანს არსით, ცეცხლის არც კვამლის
მძინარ დაბაში კრომა, ციალი;
სიჩუმეს არღვევს ყივილი მამლის
და შორეული ურმის ჭრიალი.

მაგრამ საცაა ჩაქცეულ ხევებს
გორის თავიდან დახედავს მთვარე
და მოღინახის ციხის ნანგრევებს
ვერცხლის ფერ შუქით ააელვარებს.

15. 326
2

მაშინ მნათობის შუქმა სრული ჰყოს
ამ არემარის შნო და დიდება;
მაშინ ბულბული იმღერს «სულიკო»-ს
და თვალებს ცრემლი დაეკიდება.

მაშინ ნათელა თოვლის ფერ ჩოხას
სარკმლიდან აწვდის რაინდს უარესულს, —
ველთა შვენებას ზურმუხტი ნოხავს,
გული ვერ იტევს გრძნობას მორეულს.

არგვეთის მთაზე დამჯდარი მთვარე
თითქოს გაფრენას ელის წამიერ...
დიდო აკაკის მშობელო მხარევ,
იყავ მარყდის, მრავალუამიერ!
1953.

როცა ცაცხვების ზრდელი ჩრდილები

როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები
გაეკვრის მიწას და შებინდდება,
შენ გაღელვებენ სხვა სურვილები
და სხვა სურათი შენ მოგინდება.


შენ მოგინდება ალერსი ტქბილი
სახე-წყლიანი, კეთილი ქალის;
იმის კალთაზე მოხუჭვა თვალის
და უცოდველი, უნაღვლო ძილი.

ის შენ გიამბობს შვენიერ ზღაპრებს;
დაგაწყობს თმებზე ფიქალის ხელებს
და შეგაყვარებს წარსულს, წინაპრებს
ამ მთებს, ამ ჭალებს, გარემოს, ველებს.

~~—~~
~~—~~
შუბლს ნაოჭები... მზერა ნათელი...
გლოვა და სევდა დაგეცა ბედათ;
ოთახში ჩუმად იწვის სანთელი;
სთვლემავ, ლოდინით დაღლილო დედავ!

და თუ გაისმა ფეხის ხმა ნელი
მგზავრის გვიანის — სოფლის შარაში,
შენ იმზირები სველ ფანჯარაში
და მე ამაოდ, ამაოდ მელი.

1926.



შველა სიმღერას მირჩვნეია...

ყველა სიმღერას

მირჩვნია ძველი «ხელხვავი»,
«ერთხელ ვიხილე» და

«გაფრინდი შავო მერცხალო».

ჰო, გულო ჩემო,

ჩაღველფილო ვით ნაკვერცხალო;
აანთე ალად

წარსულ დღეთა ფოთოლთა შვავი.
ძველ სიმღერებში

ყველასა სჯობს ჩვენი «ხელხვავი»,
«ერთხელ ვიხილე» და

«გაფრინდი შავო მერცხალო».

ყველა მდინარეს

შენ ჯობიხარ ფაზისის წყალო,
ყველა ლამაზსა:

თვალუუუნა ოდიშის ქალო;

ყველა ფრინველსა:

გაფრინდილო შავო მერცხალო
და ყველა წამწამს —

შავ წამწამთა გიშერის შვავო.

ძველ ტარაბელში

აღარ ჰქონესდნენ მწველი თარები...
ბესიკის ბაღში

მოურწყველად ვარდი ჰქნებოდა,
ბულბულის ნაცვლად
ვარდის შტოზე ყვავი ჯდებოდა
და იადონებს

გაღურაზეს ბაღის კარები.
გრილ ტარაბელში

აღარ ჰქონესდნენ ძველი თარები,
ბესიკის ბაღში

მოურწყველად ვარდი ჰქნებოდა.
შირაზულ ბულბულს
თბილისური ეჯიბრებოდა;

მაგრამ ჩარაზეს
კრაზანებმა ბაღის კარები.

ძველს ტარაბელში
აღარ ჰქონესდნენ ძველი თარები;
ბესიკის ბაღში

მოურწყველად ვარდი ჰქნებოდა.



როს თარის სიმებს
 ააკენესებს მწველი მიზრაფი,
 ნდომას აუშლის.
 საროკავად ლამაზ ქალწულებს,
 და უმღერიან
 საიათნოვა და მირზა შაფი —
 შესიყის ნაცვლად;
 ყორნის ბოლოს გადახატულებს
 და მტკვარი ტალღებს
 ერეკება რძისფერი ქაფით
 კვნესით ჩაუვლის
 მოხუც მეტებს და ნარიყალას, —
 მთაწმიდის არეს
 თავს ადგია მთვარე ნამგალა;
 ორთაჭალაში
 ქეითია ზურნით და დაფით —
 და ტებილი ყრმობის
 სურათები ჰქერებიან სწრაფი,
 ნისლი დაპფარავს
 მოხუც მეტებს და ნარიყალას.

1938.

ნაპარტასალი

იღარ უღეროდა თარი, არც ჩანგი,
 და არც სიმღერა ღამის მთევარის,
 ეციდა კაჩხას, ნაფენი უანგით
 ხრმალი, ხირიმი და სატევარი. -

ოდესლაც წაბლის მხიარულ ოდის
 დალეწა ქარმა ბჭე და სალტები;
 დაშრა იმედი და წყარო კოდის,
 დაფითა ჩრჩილმა ჩოხის კალთები.

ძველი ცაცხვები ვადაწვნენ გვერდზე —
 გადაუარა აღმა ტაროსმა;
 არვის უშველა ნაკიდმა მკერდზე
 მაცხოვრის კვართმა და ავგაროზმა.

არაად სჩანს ძნებით გავსილი კალო,
ვათ გაფეოქილი ტყეში იელი;
ცოომილ ვარსკვლავთა ჩამოდგა ალო:
კირჩხიბის, ძალლის და მორიელის.

გადაუფარავს ხავსა და სილას
ტაძრის ჩუქურთმა; ძველად ნახელი
და უპატრონო: მტვერით ავსილა
წულა, მარანი და საწნახელი.

ტანს მოღებია ჭმუნეათ და ლოდათ
მუხას ასწლოვანს მუმლი ახალი, —
ასე დაიქცა მზიანი ოდა,
ა. ე შეიქმნა ნაპარტახალი.

1942.

ოცნება რთველზე

ამ მთის გადაღმა ფართო ველია
 და საოცნებო გადასახედი.
 მჯერა: იქ ახლა შუა რთველია
 და უსათუოდ მეც მიმელიან:
 ზვრები სვირის და ზვრები კახეთის.

აეყვები ამ მთის ბილიქს ქვებიანს;
 ჩაგალ, ავაგსებ ლალით კალათებს;
 სოფლის ბიჭები იქ დამხვდებიან,
 ვნახავ გოგონებს წაბლა თმებიანს
 და გულში შუქი შემოანათებს.

და სამქაული ვაზს რომ ჰყიდია:
 იაგუნდი და ქარვა ქებული,
 სოფლის მარნისკენ ერთად მიდიან
 და საწნახელიც ლრმა და დიდია —
 ხარბი ვეშაპი, პირდაღებული.

მზე ჩადის... და ცას შეფერავს ინით,
 დევებათ სჩანან ჩალის ზვინები.
 ქვევრებში ტკბილი ამბოხდა ჟინით
 და დიონისოს გაჩაღდა ლხინი
 მზისა და მაჭრის დაქორწინების.

ნელინელ პფარავს უკუნი არეს
 ფრთებ გაფოფხილი შავი არწივი;
 ძაყრების მღერა აღვიძებს შარებს
 და ცაზე მოსჩანს ახალი მთვარე
 ქარვისფერ ღვინით სავსე ყანწივით.

1955.

მიზა ჩართული

5.

ხევებში რბიან ქუხილით წყლები,
 ძუმბერაზებად დამდგარ ნ მთები,
 ნისლის ნაპლები მოუსხამთ გარსა.
 ჭალები ჩანან ლურჯი და კარგი
 და ყვავილებით მდელო ნაქარგი
 მწვანე ტალღებათ მიძყვება ქარსა;
 შრიალებს ზღაპარს ძველი ჭადარი
 და მე ამ ქვეყნად შენი სადარი
 არ მეგულება სხვა კუთხე არსად.

პ.

პურს დაუხრია მძიმე თაველი
 და სიმინდს ტარო ორი მტკაველი
 გაუშვერია ტკბილი რძით სავსე;
 ეზოებს ჩრდილაგს კაკლის ხეები,
 ძველი კოშკები და ციხეები
 გაღმოსცერიან გარემოს თავზე.
 ქვეყნად ბევრია ლალი ჩვენება,
 მაგრამ ვერც ერთი ქვეყნის შვენება
 მე შენ შვენებას ვერ მივამსგავსე.

პ.

მკვდარს რომ ჩამესმას უფლის ხმა ზარად:
 «აპა, განიჭებ სიმშვიდეს მარადს
 და სამოთხეში თავშესაფარსა». —
 ეტყოდი: გმადლობ, მამაო წმიდა,
 მაგრამ თუ ჩემი ცხონება გინდა:
 მშობელი მიწა მარგუნე მკვდარსაც.
 მე მისი მსგავსი წყლების ჩქრიალი
 და ცა-ფირუზის კაშკაშ-ციალი
 არ მინახია ამ ქვეყნად არსად.

დ.

და ვუბრუნდები მშობლიურ კერას,
 რადგან განგების წყალობა მჯერა —
 გამოჩნდა ოდა და დერეფანი!
 ხმაური გააქვთ ქვევრებში სარცხებს,
 ფუტკარიც ისევ ეხვია ცაცხვებს
 და ჩვენ ალვისხეს აყროდა ტანი.
 ხელი შევახე ზემოურ მარანს
 და დედა ჩემი მეძახის წყნარად:
 «შვილო, სადა ხარ ამდენი ხანი?»
 «დედავ! მოგედი მგზავრი გვიანი,
 «გზა მქონდა გრძელი, თანაც ქვიანი
 «და ეკლებით მაქვს ფეხები წყლული.
 «ბნელ სამარეში დიდ ხანს მეძინა,
 «მაგრამ მომინდა რომ მომესმინა
 «შენი ნანინა, აკვანში თქმული».«
 მე მოვიარე ქვეყნები ბევრი,
 ვნახე მრავალი ჭალა და ტევრი,
 მაგრამ სად იყო მიწა ქართული?

1954.

სიმღერა ამირანისა

კავკასიის მძლოვან მუხას
 დახვეოდენ ყვაები;
 ედებოდა მზის შუქს რუხად
 მათი ფრთების შვავები.

სუროთი და მუმლით ტანი
 ჰქონდა დანაფარავი,
 გაისმოდა ამირანის
 გმინვა გულ-შემზარავი.

დაჰკიოდა ქარი ცივი,
 შავი მოების ფირალი,
 არ სტუმრობდა მას აჩწივი,
 არც ირემი მყვირალი.

უხუთავდა სუნთქვას ხევებს
 გველეშაპის ტყეობა,
 წვეულება ჰქონდათ დევებს
 და ალქაჯებს დლეობა.

ალარ რეკდა მცხეთას ზარი,
 არსად სიანდნენ დროშები,
 მტრებს წაელოთ ნინოს ჯვარი
 და თამარის ქოშები.

ქავკასიის მაღალ მუხას
 დახვეოდნენ ყვავები,
 მოსდებოდა ჰაერს რუხად
 მათი ფრთების შვავები.

დაფარული ჰქონდა ტანი
 მუმლითა და სუროთი,
 მთის გადაღმა ამირანი
 ჯაჭვებს ლეწდა უროთი.

ბრძოლის ქუხილს, ბრძოლის გრიალს
 ხმა მოსდევდა ხეობის;
 მიანგრია, მოანგრია
 მან აღგილი ტყვეობის.

იალბუზზე დროშას არჭობს,
 მთები არ იღრუბლება
 და იმღერის «გაუმარჯვოს
 «კაცთა თავისუფლებას.

«გაუმარჯვოს ყოფნას მზიანს,
 «დიდებულს და ურღვეველს,
 «გაუმარჯვოს ქავკასიას
 «და მის კავშირს ურყეველს.

«გქონდეთ ერთი ფიქრი ძმური,
 «გამარჯვება იქ არი,
 «რომ არ გექნეთ დაკუწული
 «თქვენ გული და ჯიგარი.

საქართველოს ყველა ტომი
 «ზეიმს შემოერიოს,
 «რომ ვერც სიტყვით და ვერც ომით
 «მტერი ვერ მოგვერიოს.

«რომ კვლავ გნახოთ ერთის ნებით
 «დიდებული წარსული,
 «დავითის და თამარ მეფის
 «შუქით შემოგარსული.

«რომ კვლავ იდგეს ჩეენი მუხა
 «ლალა, ცად აშვებული,
 «და სხივებით იყოს უხვად
 «ქართლი გაშუქებული».

1928.

მოგონება თბილისევი

თითქოს სისინებს მთაწმიდის სიო,
 თითქოს დიდებას მღერიან წყნარად,
 ჩენ ველარ ეუმზერთ შენს მტკვარს, შენს სიონ,
 და მაინც გულში გვიზიხარ მარად.

ვატარებთ უბით შენ სამფერ ალამს,
 მაგრამ ლოდინმა გული დაღარა.
 შორიდან გითვლით მხურვალე სალამს
 ჩვენო სატახტოვ! ჩვენო ჭალარა!

შემოგალეწეს რკინა და რვალი,
 ხშირად შეგმოსეს მტრის უცხო ქურქით,
 როცა მშიერი ქართული ხრმალი
 ხორცს გელარ სჭამდა სპარსის და თურქის.

შენზე ზღაპარი შეთხზულა ბევრი,
 ლეგენდა ძევლი: ხოხბის და ქორის,
 და ბედი მწარე დევნილის, მდევრის; .
 ადულებული გოგირდის ტბორი.

ახლა სპარსული ძველი ჰინგები
 და არც ჭრიალი არ გესმის ურმის;
 დადუმებულან თემურლანგები,
 ნაღარა, დაფი, ჭიჭინი ზურნის.

ახლა არვინ სჩეხს ვაზების ძირებს,
ხანძრით არ იწვის ოქრო-ყანები,
ცრემლით არ რწყავენ არეზის პირებს
ქართულ ტყვების ქარავანები.


ვეღარც თურანი, ვეღარც ირანი
ძირს ვეღარ უთხრის მძლე ქართულ მუხას;
დამიშებულა ძველი ტირანი
ჯალალედინი და თურქი ბულა.

ზემდეგ დაგესხენ სხვა მტარგალები.
ცრუ მეგობრობით გიხვევდენ თვალებს;
ქერა სკვითების უღალი თვალები
გაღმოსცეროდენ შენს არემარეს.


მაგრამ როდი გაქვს შიში და ძრწოლა—
ქალაქო, ციხევ! ალმასის ტანის,
გულს ჩაგრჩა ამაყ დღეების ერეოლა:
დიდი დავითის და გორგასლანის.

გამშვენებს მაინც შუქი უკლები,
თუმც გიბორკაუენ ჯაჭვები ხელებს;
აღსდეგ თბილისო! თავისუფლების
დროშა დაარჭვე შენს ციტადელებს.

1950.



дэлгүүр 103160



სოფლის უცხოები
ჩამ ას წმინდას და
აუგვის სამართლის
აუგვის და
მშენებელის
და სამართლის
აუგვის და
ძველი ბაზათი
ანუ
ძველი წიგნილი

ძვირფასო შვილო!
 ცხარე ცრემლი მინამავს სახეს
 ამ წერილს რომ გწერ,
 და დამწვარი ჩემი გულია,
 ჩემი სურვილი:
 შენ რომ ერთხელ კიდევ მენახე —
 გულის კუნჭულში
 სამუღამოდ შენახულია.
 და ეს სურვილი
 მშაფტი არის სიკვდილზე მეტად,
 მაგრამ მაინც გწერ,
 ვანც მიჩანხარ იმედის სვეტად
 ნუ დაპრუნდები,
 გეხვეწები, ჩემს სანახაუად, —
 სჯობს რომ დავლიო
 დლენი ჩემი უშზეოდ, შავად.

ხშირად ვნახულობ
 ღამეებში სიზმარს საამოს:
 თითქოს დაბრუნდი,
 შემოაღე ჭიშკრის კარები,
 ჩამავალი მზე
 ტანზე იცვამს შეინდისფერ სამოსს
 და საჯვარედან
 კვლავ რეკავენ მწუხრის ზარები.
 მე ვეგებები ।
 მოკრძალებით ჩემ უცნობ შენ ცოლს
 და სიხარულით
 გადავკოცნე შეილიშვილები.
 ეზოში კრუხი,
 ვარიები და წიწილები,
 მეწველი ძროხა
 ხბოს შეზმუის ფერდელა, მუქი
 და ჩემ მკვდარ გულში
 კვლავ ინოება იმედის შექი.



მაგრამ მაინც გწერ,
 ჩემო ბიჭო, ნუ დაბრუნდები!
 გზა არის ჩვენკენ
 მომავალი ბოროტი, აერ.
 ჩვენ მოვლილ ვენახს
 შეესია ეკლების ხვავი
 და ჩვენ სამრეკლოს
 დასჩხავიან ყვავთა გუნდები.
 ნუ მოხვალ, შვილო,
 ვერ გავმართავთ მხიარულ ნადიმს;

შენ ძველ მეგობრებს
 ვერ მოვიწევთ, ვეღარც ერთ მათგანს;
 ვერ მოვხდით ქვევრებს
 აყალოთი დაგლესილ ბადიშს
 და სალოთისმშობლოდ ვერ
 შეგიწვავთ თონეში ბატყანს.

მამა-შენს, შეილო,
 შეუსრულდა სამოცდაათი,
 ვით უანგმა რკინა,
 კაეშანმა გული გამოხრა;
 დაბერდა, მოტყდა,
 ყავარჯენით ძლიერალა დადის
 და ხშირად მესმის
 მისი მძიმე კვნესა და ოხვრა.
 ხშირად ამიშლის
 მოგონებებს ტკბილი სიამით
 შენი წინდები და
 მესტები სკივრში ნალაგი.
 ნუ მოხვალ, შეილო!
 გითგლი დედა მე მარიამი;
 საქართველოში —
 ალარ არის ჩვენთვის ალაგი.

• • • • • • • • • • • • • • •

გუშინწინ ენახე ძველ ლექსებთან გადანახული
 მე ეს ბარათი, დედი-ჩემის ხელით ნაწერი.
 დაეეცი... დავბნდი... ამოვარდა ბუდიდან გულ;
 და თვალებს წასკდა მწარე ცრემლი გადმონაცერი

თამარის დროზა

ვუძღვნი კალე სალიას და
 «ბედი ქართლისა» თანამშრომლებს

განგაში და ზათქი იყო
 მინდვრებზე და მთებზე
 და ლროშები ფრიალებდნენ
 მეღვარ ქარის ფრთებზე.

მჩესა, ცხენთა ნატერფალით
 წართმეოდა შუქი,
 ყურთა სმენა დახშულიყო
 დაბდაფით და ბუკით.

ერთობ ლაშქრით აჭილიყო
 მინდორი და ჭალა;
 თურქებსა და სარკინოზებს
 სხეპდნენ როგორც ჩალას.

მაგრამ ახლა ლაპი ჰქონდა
 ზეცას ელვა ხრმლების;
 გორი იღვა, დახოცილი
 საქართველოს მტრების.

დაულეწათ, შეემუსრათ
 შუბებით და ხრმლებით,
 გაქცეოდათ ნუქრადინი
 ორიოდე მხლებლით.

ვინ დასთვლიდა ნაილაფარს
 წითელსა და ფლურსა?
 გახრილ თურქთა იათაგანს,
 ტაიჭის არაბულსა?

არეის სურდა საჭურჭელი
 სპილენძის და რვალის,
 რიყე ეწყო მარგალიტის
 და გათლილი თვალის.

ჯარი იღვა სააღლუმოთ,
 რიცხვით ჰგავდა ბზესა;
 თვითონ თამარს მოელოდნენ,
 ამომავალ ბზესა.

გამობრძანდა თამარ მეფე,
 ირგვლივ შუქთა მფენი,
 აფხაზურად მოკაზმული,
 ქართულ ლურჯა ცხენით.

თან მოსდევდა სიამაყე
 ჩეენი ძეელის ძეელი,
 შუონიდიდელი, მხარგრძელები
 და თვით რუსთაველი.

ვაშათი და ალტაცებით
 იგრიალა ჯარმა,
 გამარჯვება მიულოცა
 ამირსპასალარმა.

და ნადაელი უდიდესი
 რომ ეჭირა ხელში:
 ხალიფების მწვანე დროშა
 მის წინ დასცა მტვერში.

მეფემ ლაშქარს გადახედა,
 გადასახა ჯვარი.
 თამარის მზეს იფიციუდა
 საქართველოს ჯარი.

და ამაყად ფრიალებდა
 იმ უამს და იმ დროსა
 ტრაპიზენიდან ყაზეინამდე
 თამარ მეფის დროშა.

1947.

ზღაპარი

სამი რაინდის

შავი ზღვის პირად რომ გაწვება საღამოს ბინდი
და შორეულ მთებს მოედებათ თალხი მანდილი,
ამ ღრმა ზღვის პირად გამოჩნდება სამი რაინდი:
ნურადან ფრიდონ, ტარელი და აღა, ნდილი.

მათ ტანთ აცვიათ შეენიერი ვეფხის ტყავები,
სანაოებში დაეძებენ დაკარგულ სატრუქოს,
ნათელი მთვარე არემარეს სიზმრებით ათრობს,
ზღვა მოსთქვამს ნანას, ქანაობენ ზვირთხე ნავები.

მაგრამ ქაჯები გრძნებით საესე და ბანჯგვლიანა:
მიაცურებენ ქაჯეთისკენ დახშულ კიდობანს;
შიგ ზის ქალწული გულდამწვარი, თვალი—
ცურემლიანი
და ლამის მნათობთ ეაჯება დაცვას, მშვიდობას.

მიჰქიან ღრონი... ჩანაგდება ტყე დაბურეილი,
უმთა რონინი ყოველიერს უანუავ დ ნესტავ,
მაგრამ რაინდი: მოუკედავი მარად სურეილით
შავიზღვის პირად დაეძებენ დაკარგულ ნესტანს.

ამსხვერი გენერალი... ჩატუჩიაიოთ...

ამსხვერი გენერალი
ჩატუჩია მცხოვრით
ფანტაზია ქარი დანგრეული
სასახლის ყავრებს,
ისევ უღმერთოდ აწამებდნენ
არგვეთის მთავრებს
არაგვზე, მტკვარზე, რიონზე და
მოწამეთაში.

დაკოდილ არწივს მკერდზე სისხლი
ჩამოსდიოდა;;;
იხერიპებოდა ჰილწი ტუჩით
ქართლის ზედაშე;
არვინ უნთებდა თაფლის სანთელს
საწყალ დედაშენს;
ხახულის ხატთან ფეხშიშველი
რომ დადიოდა.

ჰუკოდა გულცივად საფლავების
 აშომბარავი
 წინაპართ ჩონჩხებს, მამაპაპათ
 სამარხებიდან;
 ცურემლი უონავდა ხავსიანი
 ძველი ქვებიდან.
 იყო გოდება და ტირილი
 გულის მზარივი;
 ვათ პერგამენტის, დახეული
 ძველი ბარათი
 ეყარა მტვერში ჩვენი ხრმალი
 და მუზარადი.

1926.

ჩვენი მხარე

მორბის ჯრუპულა და ყვირილა აჩაყრ, ურჩი
 და ხოდაბუნებს გადმოსცემის ძირს მოდინარე.
 ცა არის სუფთა, ისე სუფთა და ისე ლურჯი:
 შაბიამანი შეასხურეს თითქოს ვენახებს.
 თითქოს მზის სხივი იღვენთება ოქტოს ლერებად
 და თუ ღამეა, მთვარის შუქიც ისე ანთია,
 რომ მეწსქვილე თედაოზა ბამბისწერება
 წისქვილის რაფთან წყალში ისვრის ბადეს
 ზღართიანს.

სხვა სურათები... დაირის ხმა, ლხინი, ცედური ..
 და მოგონებებს სიყვარულით გავეკიდები,
 და ვხდები ისევ სევდიანი და უბედური,
 თითქოს ჩემ სულსაც შეესივნენ ქერა სკვითები.

1926.

დამუშიდობება

(შალვა ამირეჯიბის ხსოვნას)

როცა დავტოვე მყუდრო მხარე,
 ჩვენი სოფელი,
 რაღაც სხვა გვარად შერიალებდნენ
 ცაცხვის რტოები;
 თითქოს მესმოდა შეენიერი
 ვალსი შოპენის:
 დამშვიდობების, სამუდამოდ
 განმარტოების.

რუ ჩხრიალებდა გულ-მოკლული,
 პატარა, წმინდა
 და ყვავილები გაპენტილნი
 და ფერმიხდილნი
 მეუბნებოდნენ:
 სად მიღიხარ, რისთვის არ გინდა
 ჩვენთან დარჩენა, ჩვენთან ყოფნა,
 ჩვენთან სიკუდილი?

«ჩვენ შენ გიამბობთ ამ მიღამოს
 დიდებულ ზღაპარს
 და სიყვარულის შეგასწავლით
 მარად ხეაშიადს.

სხვა საქართველოს, სხვა სამშობლო,
 სხვა თავშესაფარს
 ვერსად იპოვნი, ამაზე კარგს,
 ამაზე ღიადს».

სწუხდნენ მინდვრები, სწუხდნენ მთები,
 სწუხდა ჯეჯილი;

მეც ნალვლიანი გაუცემოდი
 მტრედისფერ ზეცას.

უცბად მომესმა გრამაფონის
 ხმა ჩახლეჩილი, —

უიღაც სულელი იმღერებდა
 «მარსელიეზას».

და ეს მოტივი ახალ ყოფნის
 აზრით მღვრეული,
 შესტრფოდა ახალ აღტაცებას,
 ახალ დროებას...

შორს, ერთ გორაკზე სჩანდა
 ციხე ჩამონგრეული
 და მყუდრო ჭალას შესჩიოდა
 ამაოებას.

მოზეაურის ოცნება

ამ შარაგზას რომ გავცდები
ქარიანს და მტვრიანს,
დავინახავ კოხტა ეზოს
და სახლს კრამიტიანს.

დავინახავ ჩრდილში ხარებს,
ღვინიას და წაბლას
ღობის ყუჩში, საბძლის ახლოს,
კოპიტების დაბლა.

კუხი დადის წიწილებით
და ვარიაც ორი;
ეზოს ისევ დატრიალებს
ძველებურად ქორი.

მკათათვეა, ოქროს ძნები
ამშვენებენ სოფლებს,
ჭიანური გაუმართავთ
ცაცხვზე ჭრიჭინობლებს.

უმღერიან მზეს და გვალვას,
 ერთფეროვან ჰანგებს.
 მე კი მინდა ჩვენ ეზოსთან
 ჩავიარო განგება.

და ეზოში მოხუცს ვხედავ
 ყავარჯენით ხელში,
 თეთრი თმით და თეთრი წვერით
 და მოღუნულს წელში.

სალაში ვაძლევ თავდახრილი
 მის წინაშე მდგომი —
 «ყარიბი ვარ, მგზავრი უინმე,
 დასვენების მდომი».

მაკვირდება... მაგრამ ვერ მცნობს, —
 თანაც ამბობს თბილად:
 «აი, აგერ კაკლის ჩერო,
 წამოწექი, გრილა!»

«მე გოგონებს გადავძახებ
და არ მოიწყინო,
მსურს მოგართვან აქ ჩეროში
სამხარი და ღვინო».

თავს ვიმავრებ... არ მსურს მიცნოს,
მაგრამ როდი მჯერა!
ცრემლი მახრჩობს, გულს გაუდის
ბაგა-ბუგით ძერა.

სული ყელში მებჯინება,
თვალებს ცრემლი ნამავს
და უცრად აღმომხდება
ქვითინითა: — «მამაუ!»

მამა მიცნობს: «აი, შვილო,
რომ ვეძებდი ვნახე!» -
და ბამბისფერ წვერულვაშით
ფამიფარა სახე.

ყვირის: «მოხდა სასწაული
დღალი და ძვირი,
დამიბრუნდა ეგვიპტეში
გაყიდული შეილი».

ზემია. ხარი დაკლეს,
თონეს ასდის ალი,
ლალის ლვინოს ყველა აქებს
ფხიზელი და მთვრალი.

ბ.

დალით, მზის რომ გამოჩნდება
ოქროქოჩირ თავი,
ხარისემი ბლავის.
მთაში ჰყეფენ არწივები,

მაგრამ ღამით რომ გაეცურის
ზეცას მთვარე მკრთალი,
კოშკი შუქი გაიელვებს
მზეთუნახავ ქალის.

ჩენი ძველი წინაპრები
როს ჩეხავდნენ დევებს,
ხემლის ნაკვესი ელვარება
ანაოებდა ხევებს.

ბ.

განა მართლა საწყალი ვარ
 და უჯიშო გვარის?
 მაწანწალა ემიგრანტი,
 უპატრონო მკვდარი?

არა, ისეც მდიდარი ვარ,
 ძველ ოცნებით ვთბები;
 ვენახიც მაქეს, სახნავებიც,
 ტყეც და სათიბებიც.

ფუძეს უძევს ნადულარი
 ფოლადი და კირი,
 ორიათას წელზე გრძელი
 ჩვენი ტომის ძირი.

და თუ მიმცემს უცხოეთის
 მიწას ბედი ავი,
 თუ ჩემ საფლავს ვერ იტარებს
 ძმა და ნათესავი, —

ოკეანეს გადმოლახავს
 საქართველოს ქარი
 და ჩამდახებს: «სალამს გითვლის
 რიონი და მტკვარი».

1956.

მოგონება

კაცლის ჩეროში კაცი შავწვერა
 წალდით წვერს სთლიდა ხარგანს თუ ჭიდოს,
 ამ დროს კი ქალი მაღალი, ქერა,
 ასე ეძახდა თავის ბიჭიკოს:

«ჩემო ჩიორავ! ერთი ხელადა
 მომიტბენიე წყალი წყაროდან».
 ბავშვმა ხელადა მოხელა, და
 გაიქცა მლერით — მას უხაროდა.

მეც მოგონებით მოვკალ სურვილი,
 ვით მონადირემ თოფით კავაბი;
 ჩვენ ეზოს ერტყა ტყე დაბურვილი
 ჭინკებით სავსე და გასაკაფი.

ეზოდან სჩანდნენ ნაქერლის მთები,
 ირგვლივ ნისლებით შემოწურვილი;
 მას შემდეგ შევსვი მღინარე, ზღვები
 და მაინც ვკვდები, დედავ, წყურვილით.

1926.

მთესეზელის ციმლებია

... და გამოვიდა მთესევარი თესვად..
მათე 13,3

თავს ადგათ ჩრდილი ფოთოლთა შორმის,
მიბმულნი იყენენ ჩეროში საბლით.
თვალები ჰქონდათ ხატულა ირმის
და ფერი: მწიფე, კაჭალი წაბლის.

ჯერ ახლოს მივეღ, მსურველი ნახვის,
თვალი გავაძლე მათი ყურებით.
ახლა გავმართავ ჩვენებურ სახნისს
და იფნის უღელს აპეურებით.

მოვნახავ ბათმანს, მოვნახავ ფიწალს..
თესლს მომცემს უხვი მუხის ბეღელი,
გავყენები სახნისს, რომ დავხნა მიწა, —
ეს უყი ახო, გაუტეხელი.

დავთესავ ქართულ მარგალიტს ნარჩევს, —
ვანა ღირს უცხო თესლი ვეძებო?
მსურს წინაპართა მიწაზე დარჩეს
კვალი, ლარივით უხარვეზებო.

საღამოს წყლისკენ გავირეკ ხარებს
წყალი ნანინას თითქოს ჩერიალებს,
ქედის ჭორიზე გადმოვა მთვარე
და სიო ცაცხვებს ააშრიალებს.

მაშინ გული გრძნობს ერუანტელს უჩვევს,
ძილში ჩაფლული მოსჩანს სოფელი;
მიწას კურთხეულს შევახებ ტუჩებს
და ცას ავხედავ სამაღლობელით.

დადგება ყანა ვით ნატვრისთვალი,
რთველში აავსებს კალოს და ეზოს.
ჩემიც მიწაზე დარჩება კვალი, —
კვალი მართალი და უხარვეზო.

1932.

სამი ლეშსი

1. სიმღერა მზეზე

განთიადი აღებს ზეცის კარებს,
მქრთალი შუქი ცის ნაფლეთზე ბრწყინავს
შავ ძონძებში გახვეულა მხარე,
მიწას დაღლილს მოხრილ მკლავზე სძინავს...

მაგრამ მოიდან დაუბერა ქარმა,
შეარხია ფოთლები და წყალი,
მთებს ახადა მუქი ნისლის ჩალმა,
გააქანა მთვარე, ოქროს ნალი.

აჰა, იწყო მძაფრი მაჯისცემა
სინათლის და განთიადის ალომ,
მთას წარბები დაუკოცნა მზემა
და სამყარო მზის დიდებას გალობს.

2. ბალისაქენ

შივდიოდი ამაყი და ურჩი
 უცხო ბაღში, იმედებით სრულით:
 რომ მეპოვნა იქ ყვავილი ლურჯი,
 რომ ჭრილობა გამეკურნა გულის.

რომ მეგემა სიტყბოება ხილად
 ველურ თაფლის და გარეულ ვაზის,
 თაიგული შემეკონა ფრთხილად
 ანემონის და შროშანა ნაზის.

შაგრამ ბაღის სხვები ფლობლნენ ზღუდეს
 და იქ თესლენ ბოროტების თესლებს,
 იქ წავაწყდი კრაზანების ბუდეს
 და ისრებით გული დამიგესლეს.

3. ლოცვა დილით

სულში ლოცვის აფეთქდება აღი...
მაცხოვარო! კვლავ სასწაულს ველი!
გევედრები: არ დამჩრიდო თვალი,
შენ, ოსტატო, უმწიფესი ხელის.

მომიტივე, ნატურა გვირგებინ-დაფნის
აღარა მშურს ნეტარება სხვების.
გულს მიგმირავს ყეფა ლევიაფნის
და შხივილი შორეული ზღვების.

იღარ მხიბლავს ქრომა ძვირფას თვალთა,
ვერაგობა გულში ლახვრად დამცეს.
ღმერთო! სადაც დაიბერტყავ კალთას,
მე იქ ვპოვებ საზრდოთ პურის ნამცეცს.

1959.

ବ୍ୟାକେ ରହିଥାଏ

ପୁଷ୍ଟିତମାନ ବିଜ୍ଞାନୀ

ମିଳିବାନ ପାଦେ ଗାନ୍ଧିଯୁଦ୍ଧଲାଭ
ପୁନଃଦେବି ଲର୍ଦ୍ଦବଳି,
ରାଜପାତ୍ର ନାମାନ୍ତର ଚିତ୍ତିଲ୍ଲେବି
ମେଲୁଦୁର୍ଜ୍ଵା ଦୁର୍ମହିଲି

ଓ ଅଶ୍ଵଫେଦିବାନ, ହେଠିଦେବିବାନ,
ଶିଶୁଦେବିନ ବେତିବାଲି:
ଶାରୀର ଗୋଲାତି, ମନ୍ତ୍ରମେତା
ଓ ମେଲୁଦୁର୍ଜ୍ଵା.

ବ୍ୟାକେ ରହିଥି, ଯାଲିନିନିତ
ଓ ହାତାଲାକିତ
ଶିଳ ଓ ଯୁଦ୍ଧର ଉଗଫେଦି ବିନ ନିର୍ଦ୍ଦେଶା
ମିନଦ୍ଵରାଦ ଦାଲାକି.

ମାତ୍ର କାହିଁ ଦାକୁଲେଦି ବେଳି ସେତୁପା,
ବେଳି ପ୍ରାରମ୍ଭି,
ରାଜପା ତତ୍ତ୍ଵାନ୍ତରେଲବି ଚିମିଦା ଗାନ୍ଧିଗି
ଓ ବେଳାରିନି.

ରାଜପା ମାତ୍ର ପରାମର୍ଶ ଚିନନାପାରିତା
ଶାଲିନୀପାରିଦି,

რას დაკლებენ მას ჩხაფილით
გუნდი ყვავების?

თუმცა წელს წყვიტავს მას მონობის
მძიმე ჭაპანი, —
მაგრამ ზეციდამ ამხნევებენ
მამაპაპანი.

ეუბნებიან:

ვერ გაგტეხავს აფთარის ტორი, —
ჭართველი ერი ჩათვლილია
უკვდავთა შორის.

შენს სულს ვერ მოჰქლავს არ
ხელი მურტალი მტრისა,
კვლავ მოვა ხანა: რუსთაველია
და თამარისა».

და გლეხიც ჩუმად შორეულ მთებს
გასცემის ერთხანს,
შემდეგ დაღლალი, ხელის გულზე
ყალიონს ფერთხავს
და მხნედ ბუტბუტებს:

«ვერ დამაკლებს
დუშმანი ვერას,
კვლავ მოვესწრები
თავისუფალ მზის ამოწვერას».

1956.

კოლიბრის გული

ვუძლვნი მიხეილ დადიანს

დიდია ქვეყნად მზის ელვარება,
მომხიბვლელია ხაუერდი მთეარის,
ზღვის ბობოქრობა და მღელვარება,
პიქა-ქუხილი, გრიალი ქარის.

დიდია სიმთა მარადი უღერა,
სხივი — ნატეხი კრისტალის პრიზმით,
ფერები მხატვრის, პოეტის მღერა
გრძნობით, გონებით და აფორიზმით.

დიდია ფეთქვა და ცემა გულის,
გულის, რომელსაც ზარავს ობლობა.
ლამით ვარდებზე „ვნესა ბულბულის
და სამუდამოდ უსამშობლობა.

მაგრამ მე ვფიქრობ: დადუბა გამჩენა
და საქმეთ მისთა, საცნობართ ძნელად, —
მიკვირს: ვით იტანს წამებას ამდენ
კოლიბრის გული პაწაწყინტელა.

1957.



ତମାତେବୁ

ମୁଖ

ଲୋକାର୍ଥମୁଖ

(ତମାତେବୁ)



5.

მდინარის ნაპირს მისდევდა წყნარულ
 ჩაფიქრებული, დახრილი თავით.
 იყო საღამო, მთასა და ბარად
 ცხოველმყოფელი ჰქონდა ნიაფი.
 ჰქონდა ნიავი და შარიშურით
 თავს დამლეროდა ყვავილებს ხალას
 და წყლის ჭოხრიც ცელქი, გირური
 შხეფებს ესროდა ბუჩქებს და ბალას.
 აქანივებდა ძეწნის თმებს ქარი,
 ვერხვის ფოთლების ისმოდა ტაში,
 ცას მიჰყებოდა წითელი ლარი
 და ვარდებოდა შორის, სადღაც ზღვაში.
 ცა ირთვებოდა შვინდისფერ ფარდით,
 გზის განაგრძობდა ჩვენი პოეტი,
 სულში შეკროდა კმუნკა და დარდი,
 დაუფლებოდა «ამაო»-ეთი.
 ფიქრობდა: «რაა ეს დღე, ეს ღამე,
 ან შეღამება, ან გათენება,
 არის სამყარო ნამდვილი რამე,
 თუ სიზმარია და მოჩვენება?
 ეს ცა, ეს ველი, ხეები, წყალი,
 მიწის ქვესკნელი, ზეცის ორბიტი,
 რეალობაა რასაც ჰვრეტს თვალი,
 თუ წაზმავალი და პირობითი?
 ან შემოქმედის სად არის აზრი,

თუ ამ სიცოცხლეს რომ სდულს და ღელავს
 სიკვდილის ცელი, ავი და ბასრი
 დაუზოგველად ისევ მოცელავს.
 მოცელავს, მაგრამ ვისაა აქეს ცოლი,
 სიბრძნის წყაროდან გამომავალი, —
 არის თუ არა კიდევ სხვა ყოფნა,
 დანიშნულება და მომავალი?
 თუ არის კიდევ, დიდება გამჩენს,
 ვეღარ შეგვაკრთობს დაკარგვა ობლად
 და სულიც ისევ ტხადად შეამჩნევს
 კვალს დატოვებულს ამ წუთისოფლად.
 მაგრამ თუ აცდენს კაცთა თაობას
 ცრუ წარმოდგენა, ცრუ სიძლიერე,
 იქნებ არა მხოლოდ არარობა,
 მხოლოდ შნელეთი, სიცალიერე!
 იქნებ ქაოსში გაითანგება
 სული, მწყურვალე — ლურჯი ფრინველი
 მაშინ რა ირის ღმერთი, განგება.
 თუ არ მტარვალი და დამცინველი?
 მაგრამ რას ვამბობ? ნალველი, იჭვი
 სულში აყეფდა, სნეული ცოფით.
 ყოფნაშა არა ღვთისური ჩიჭი
 და საიდუმლო გამოიუწოდი.
 შეჩერდი... მიჰყევ ღმერთს, მოაწიდე გულით,
 გულით მართალით, და თავდალებით.
 პჰოვე ამ კითხვის პასუხი შრძნული
 და საიდუმლო შენ გასაღები».

ბ.

ასეთ გვარ ფიქტებს მისდევდა მწუხად
 ჩვენი პოეტი, სულში გოდებით,
 როდესაც მინდვრულ იხილა მუხა
 ძრს დაშვებული ჯმუხა ტოტებით.
 გახედა მუხას, გოლიათ დარაჯეს,
 განმარტოებით განდგომილს უელში,
 და ხედავს ჩრდილში წყნარად დაშვებულ
 ვიღაც მოხუცა თეთრ ტანსაცმელშა.
 ალექსანდრის პოეტი წარილი მძლავრი,
 მის გულს სურვილი დაეუფლება:
 ნახოს, ვარ არის, ის უცხო მგზავრი —
 და უნდა მასთან გასაუბრება.
 ტიუახლოვდა ნაბიჯით სწრაფით,
 ფერთა თამაში სხვა სურაოს სახავს:
 მოხუცა ჰქერება ვით საპნის ქაფა.
 პოეტი უმზერს სულ სხვა სანახავს...
 ხედავს გამხმარ თავს, ჩაცენილ ყბებით
 და პოეტს აძლევს შორიდან სალამს
 ჩონჩხზე ასხმული ხელები ძვლების
 და დაღრკენილი კბილებით ქალა.

სიკვდილი —

«მოდი, ნუ შიშოძ, გულში გაბზარულ
 იჭვს და სამსალას სიბრძნე სვეობია,
 მე შენ გაგაცნობ ცოდნას დაფარულს

და არსის ყოფნის ფალოსოფიას;
 მსურდა წინედაც შენთან გამება
 კავშირი ფრთხილი და მეტად რთული,
 როცა ვუმზერდი მე შენ წამებას,
 გამოუცნობი რომ დაგაქვს გულით.
 შურს: შენი ყველა სურვილი ითქვას;
 მინდა: უაზროდ აღარ იწუხო,
 წენს გულისნადებს, შენს ყოველ აითხდას
 მზათ ეარ სისწორით რომ ეუპასუხო».

პოეტი —

«მე არ მაშინებს ეგ შენი ცელი,
 არც შენი ტანი ჩონჩხად ნაგები,
 ჩემს ყოფნას ჰქოარავს ციური ხელი
 და რას დამაკლებ? თუ არ განვებით!
 თუმც სიკვდილი ხარ, სიცოცხლის მტერი
 და ყოველ ყოფნას თუმც აჩანავებ,
 მაინც მონა ხარ და ფერხთა მტერი,
 ვინაც სამყაროს მთლიანს განავებს».

სიკვდილი —

«ჩემად ბატონად მე არ ვცნობ არვის,
 არც დამიხრია მონათ კისერი,
 არ მხიბლავს არც მზის, ნათელი ჭარვის,
 და არც სიპნელის შავი ვიშერი.
 არ ვმონებ არც ღმერთს და არც სატანას,
 არც ბრძანებლობის არ ეარ მდომელი,
 მე მინდა მხოლოდ საქმის გატანა:

სწორის, მართალის, მიუღვომელის.
 ეს ორი ძალა იბრძვის, რომ ბოლოს
 დიდება თვისი მათ დაამყარონ.
 და მათი ბრძოლის შედეგად მხოლოდ
 წვალობს, იტანჯის მთელი სამყარო.
 სინათლეს უნდა სამყარო ეჭმნეს,
 სიბრძლე — ბნელში დაეძებს შვებას
 და სამართალი ისეთი შეჰქმნეს:
 ან ღმერთს, ან ეშმაკს როგორც უხდებათ;
 მე მათგან არც ერთს არ ვაძლევ შველას;
 დასაბამიდან როს შეჰქმნეს შუღლი,
 ვათანასწორებ სიკვდილში ყველას;
 მე ვარ დამსხვრევი მონობის უღლის».

პოეტი —

«როგორ თუ შუღლის? — აბა რათ მალავ
 მხოლოდ სატანას რომ აძლევ შეელას!
 როცა ღვთის მიერ მოცემულ ძალას —
 სიკოცხლის ძალას — მრისხანეთ ცელავ?»

სიკვდილი —

«მე ვცელავ მხოლოდ უაზრო ყოფნას,
 როცა სიკოცხლეს ეყარგეის ფასი;
 ვინც სიტებოება ამ წუთისოფლად
 ბოლო წვეთამდე დასცალა თასით,
 მე ვცელავ მხედრებს მუზარადიანთ,
 ბრძოლის ველებზე სისხლიდან დაცლილთ,

ვცილავ ავადმყოფთ და სახადიანთ,
ვცილავ»...

პოეტი —
«აშ კმარა!»

სიკვდილი —
«რატომ არ მაცლი!»

პოეტი —
«ახლა შენ გინდა ბაასით გრძელით
და მჰერმეტყველურ, მოქაჩულ ენით
დამისაბუთო და დამაჯერო...»

სიკვდილი —
«შეჩერდი...»

პოეტი —
«გოხოვ, რომ არ შემაჩერო!
რომ შენი გზაა მართალი მხოლოდ
და შენი ბასრი სასტიკი ცელით,
მხოლოდ მათ თიბავ, რომელთაც ელით.
გამჩენის წესით უაზრო ბოლო».»

სიკვდილი —
«დიახ, ეს არის აქ ჩემი როლი,
რომ კვლავ გავწყვიტო შუაში რგოლი —
გავყარო ცისა და მიწიური —
მიწას ხედეს — მიწის, და ცას — ციური».»

პოეტი —

«გაწყდეს სიცოცხლე ბამბის ძაფივით
და გაითქვითოს, ზღვაში ჭაფივით?!»

სიკვდილი —

«არა, დასრულდეს ტანჯა და ძრწოლა,
ოცნება ფუჭი, გარჯვა და ბრძოლა;
სულს მიხვდეს ცაში თავისი წილი
და მატერიას მარადი ძილი».

პოეტი —

«შენი სიტყვაა სისხლ-გამყინავი,
ხაჩ ვიღაც გულქვა და დამცინავი.
მაშ შენი ფიქრით: ბრძოლა და შრომა,
ჩვენი წადილი, ოცნება, ნდომა,
თვით სიყვარული და აღმაფრენა,
სამშობლო-მიწა და დედაენა,
შემოქმედება, ტკბილი არია,
განა ჩვენება და ზღაპარია?»

სიკვდილი —

«სხეა არაფერი, რომ გითხრა სწორი,
პოეტებისგან შეთხზული ჭორი,
რომ გაამართლოთ უქმად ნავალი,
სიცოცხლე ფუჭი და წარმავალი».

პოეტი —

«რომ გავამართლოთ? მავრამ ეს განცდა
კაცის გარეშე სხვა არსო ჩათ ასცდათ,

და ეს ლეთიური მოთხოვნილება

რათ არ აწუხებს ყოველ ქმნილებას?

ვთქვათ: იმ ლურჯ ცხენებს, ძალლებს და სპილოს
განა აწუხებთ გრძნობები მსგავსი?

ქმნილებას დაბალს და სასიკვდილოს

რათ არ აქვს გული ლეთის ცეცხლით სავსე»?

ჭიკვდილი —

«წარმოდგენა გაქვთ თქვენ თავის თავზე

ადამიანებს ზედმეტად ჭარბი,

მოუსვენარი, უზომო, ხარბი,

მარად მცურავი დასალუპ ნავზე.

სპილოსაც, ძალლსაც და იმ ცხენებსაც.

ამ ქვეყნათ სხევა ჩამ არ ეჩვენებათ,

მხოლოდ: სინაღდე და რეალობა

და არც ელიან ზეცით წყალობას,

არ ჰვრეტენ განცდით ვარდებს და იებს,

არ ჰქმნან ჰორებს და ილუზიებს,

იბადებიან, კვდებიან წყნარად;

მათი სიცოცხლე გარდიარს ქარად».

პოეტი —

«ნუ თუ გგონია სიტყვა ვითარი

მყოფს შემოქმედის მე უარმყოფულად,

თითქოს არ ჰქონდეს არავითარი

სიცოცხლეს აზრი ამ წუთისოფლად!

ვგრძნობ საიდუმლო აზრს განვებისას

და ყოველივე ატარებს ნიშანს

თვით შემოქმედის უჩყევ ნებისას —
წყალიც, ჰაერიც, ცეცხლიც და ქვიშაც».

სიკვდილი —

«შენა ხარ ზღვაში პატარა წვეთი
და დროს სიგრძეში: წამზე ნაკლები,
ფანატიური, მწყურვალე, ცეტი,
ცხელ უდაბნოში მსრბოლი აქლემი.

შენი ყოფნაა: ხამხამი თვალის;

ჩემი: გრძელია მილიონ წლამდე
და დავაჩინე ყოველგან კვალი
პოლიტიკიდან — პოლიტიკამდე.

მახსოვეს: სამყაროს ყინვა ზარავდა,
არ ანათებდა არც მზე, არც მოვარე,
ბნელი ქოსის ფარდა პფარავდა
მთლიან სამყაროს, მწირ არემარეს.
და საიდუმლო არც მიწის, არც ცის
არ დამრჩა, რომ არ გამოვაცანი.

ენახე: ეპოქა ყინულის, ცარცის,
მაგრამ ვერ ვპოვ აზრი, მიზანი —
თუ რისთვის ეს მზე ანათებს გზნებით,
რატომ ამოდის მთვარე ზმორებით,
ამოვლენ... ჩაელენ... იმავე გზებით,
მოსაწყინარი განმეორებით».

პოეტი —

«მზეცა და მთვარეც, გარსკვლავ- ეთერი,
ჰაერი, ზღვები, მთები და ველი.

— ჩვენ კაცთა მოგვცა უთვალავ ფერით —
 გვასწავლის შოთა, ჩვენ, რუსთაველი.
 და ღმერთიც თავის სურვილს და ნებას
 გვიცხადებს ხოლმე რჩეულთა ბაგით.
 რომ პპოვოს კაცმა ამ ქვეყნად შეება,
 იგრძნოს ღვთის ხელი და ღვთის ამაგი».

სიკვდილი —

«რა ამაგია, ან მზრუნველობა:
 სანამ ყვავილი ტურფად ჰყვავიან,
 მათ სალამაზეს, მათ სურნელობას
 მებაღე უვლის, შემნახავია,
 მაგრამ თუ თრთვილმა დააზიანა,
 ის როდი ფიქრობს ხსნა და შველაზე,
 ამოთხრის ყველას ძარფესუიანად
 და გადაისცრის სანეხველაზე.
 ასევე კაციც: თვალს რომ დახუჭავს
 მას მზე და მთვარე აღარ აოცებს
 და პიროვნების დიდება ფუჭად.
 მტრად გარილიქცია სასაფულაოზე».

პოეტი —

«თუმც სხეულს მიწა დაეფინება,
 მაგრამ სახელი მყარი რამ არი,
 როგორც რუსთველის შუქი, დიდება,
 როგორც დაეითის და მზე თამარის».

სიკვდილი —

«ეს მხოლოდ ფუჭი იმედებია,

აქ ეღრ გიშეელით გამჩენა, ჟენა,
 ზშირად ერებიც იღუპებიან,
 ხშირად ისპობა თვით დედაენაკ;
 ვინ გაიხსენებს რესტავრაციას მაშან,
 ან და დავითის საქმეებს დიადს;
 თუ არ ტატინებს ქართულად ბაკუში,
 თუ შეუერთდა თვით ერი წყვდიალს?»

პოეტი —

«მშობლიურ მიწას მწვანე ქედებით
 უკავდით მუღამ: ხრმლითა და შუბით —
 რწმენა, ოცნება და იმედები
 ცრემლებთან ერთად დაგვექნდა უბით.
 თუმც ერის ბედი ტრიალებს, ბრუნავს,
 ხან გზი ნაკათი, ხანაც უვალი,
 თუ არ დაპყარგავს შემომქმედ უნარს
 იქნება ერი გარდაუვალი.
 მის ნებისყოფას უფრო გასტებს ძალა,
 თუ თეის მეობას დაიკავს სისხლით;
 ერი: დიდია ის, თუ პატარა,
 მის ღირსებას სწყვეტა მხოლოდ ხარისხი».

ხიკვდილი —

«ჩეენ ნუ გავყვებით ამ ჭვავე თემას
 და რატორიკას მაღალ მცნებანს...
 (ხედავს: პოეტი თვლებს, უკვე თავი ჩამიტოდა).

თავისთვის: «ნუ თუ ბაამა დაღალა ჩემთა?

ხედავ? ლვითის მონას ჩასძინებია!
(პოეტს სძინავს, ბაგეს ურხევს შეკუმშული სუ-
თქვა, ხვრინვაც ისმის).

(სიკვდილი აგრძელებს):

«კაცის დაქანცვას ფიქრები იწვევს,
ძირის მისთვის: მალამო წყლულში;
იძინოს ახლა, სამსალას, იქვებს
სხვა დროს დავთესავ კვლავ იმის გულში».

(სიკვდილი ჰქონდა. პოეტს სძინავს მწვანე მდე-
ლობი ხნიერ მუხის ქვეშ).

8.

(სურათი მესამე: შეღამდება. ისმის მწუხრა:
° არები და შორეული გალობა):

«კას ედება აბრეშუმად
ნელი მწუხრის ზარები,
სხეულია ახლა ჩუმად,
სული კი ნეტარებით.

თითქმის ისმის გულის მწველი
კვნესა ჰარფის სიმების,
ქებათ-ქებას გალობს ნელი
გუნდი ქერუბიმების.

და თუ ხორცო დაიმტვერი,
 როგორც თიხა ყოუელი,
 სხეულია მხოლოდ მტვერი,
 სული — მარად ცხოველი.

ის ისწრაფებს შუქის ნახვას
 სიმაღლეთა წვეროში;
 სული არის მხოლოდ ლაღად
 ვარსკვლავების სფეროში.

აღარ უნდა მარად ხლება
 ნივთიერის ტყვეობა,
 მოენატრა ამაღლება,
 აღდგომა და დღეობა.

და ნათელი არ ნახულით
 ვით ჭურჭელი იქნება, —
 აღდგომაა მხოლოდ სულის,
 დიდი სულის თვისება.

დადიოდი ხალხში ობლად,
 გმტრობდა ბევრი მათგანი
 და თავს გრძნობდი წუთის-ფლად
 როგორც მგლებში ბატყანი.

მაგრამ ახლა სიხარული
 ციდან ჩეკენ ზარებად,

სიკვდილს თრგუნავს სიკვაჩული,
აღდგომა და ხარება.

და ედება აბრეშუმად
არეს მწუხრის ზარები;;
სხეულია იხლა ჩუმად,
სული კი ნეტარებით».

კ.


(სურათი მეოთხე: ქვრივბიმების გალობა თავ-
დება. პოეტი ზმორებით იღვიძებს, თეატრს ავ-
ლებს არემარეს).

პოეტი — 1

«ჩამძინებია. და მე მგონია
გალე მთის ქედზე დაჯდება მოვარე,
ძილში ხან ციურ ტკბილ სიმფონიას,
ხანაც მსჯელობას ვისმენდა მწარეს.
შკლავდა: სიცუკხლის ამესნა აზრი
და გამეკურნა სული სნეული.
ბნელეთის ელჩმა ჩიმძახა მკაცრი,
სატყვა მორთოტა და იჭვნეული.
სურდა მოეკლა მის იმედები.
მაგრამ მძებნელო! არ დაივიწყო —
სად ძალი იყო შემოქმედების,
დასაბამიდან სიტყვაც იქ იყო.

და ოვით ბელზებელს ანთებულს შეჩით,
 იესომ სიბრძნე ტყვიათ აჰეთა:
 «არა თუ მარტო გვაცხოვრებს პური,
 არამედ სიტყვაც უფლის ბაგიდან».
 ღრუბელი — წყალი ცათ ანაორთქლი —
 თუმცა ხეტიალს დიღხანს უნდება,
 მაგრამ ის ცაში ასული ორთქლი
 მიწას კვლავ წვიმად დაუბრუნდება.
 აგრეთვე სულსაც, ვით დილის ნამი,
 ის დააბრუნებს მსგავსად ნამისა,
 ვის ძალუს ყოფნა ათასწლად — წამის,
 წლების ათასის — ერთი წამისად.
 მას აհ აწუხებს დროს დაურვება,
 საუკუნეთა რიგნი-წყებები,
 და სულიც წმიდა აღიჭურვება
 ღვთიური მადლით და ოვისებებით.
 ამაღლდა სულო! მზიურ სფეროში
 არ მოგვეკიდოს დალლა და ძილი,
 ცაზეც, მიწაზეც, მთელ სამყაროში
 შენ ხაჩ უკვდავი და ღვთის ნაწილი».

1956.



၁၀၆၀၈၁ ရှု ၂၀၁၃၂၄၃၀၅။



როსინანტი

ოქვენ ხომ იცნობდით საკვირველ მეზანს?
 (სადღაა ახლა მსგავსი ცხენები!)
 ჩასცერდა მიწას შებერს და ვერანს
 და დაქანცული იყო ჭენებით.

სჭამდა დღიო-დღე ნაკლებს და ნაკლებს,
 შავ ბედისწერას მიანდო თავი;
 ბინდი მოედო მის თვალთა კაკლებს
 და როსინანტი მოკვდა, უკედავი.

მას არ ჰყოლია პატრონად სულლა,
 არც კალიგულა** უტარებია,
 ას არ გამხდარა არსად კონსულად,
 არც თავი პეგასს უდარებია.

ზარნიშთა ჯილა არ დგმია თავზე,
 ფლოქვზე არ ჰკვრია ოქროს ნალები,
 მაგრამ ის იყო თცნებით სავსე
 და უმწვერვალეს იდეალებით.

როცა ბაზყინვალე მისი რაინდი
 ქარის წისქვილთა ებრძოდა კიბეს,
 ის სიკედილებმა უცბად მოთიბეს
 და დაეუფლა მარადი ბინდი.

ახლა ძეგლებით ჩეენ არ გვაკუირვებს
 დავიშვებული მისი მხედარი,
 და დარჩა სანჩქოს და იმის ვირებს
 მას შემდეგ ბურთი და მოედანი.

1929.

დარღი

უუძლვნი მიტო ანანიაშვილს

შალში ბულბული გალობდა ღამით,
ვარდის კოკრებზე ცვიოდა ნამი
და მოხიბლულნი ბულბულის მღერით
იმოსებოდნენ ატალასის ფერით.

მაგრამ ერთ შტოზე კოკობი დარდობს,
თავჩაქინდრული, ჩაფიქრებული...
მივეღ და ვკითხე: «რათ სწუხარ ვარდო,
რატომ ხარ ასე გაფითრებული?»

მან მიპასუხა: თუმცა ის გალობს,
მაგრამ ბულბული მე აღარ მწყალობს,
მას შეუყვარდა მეორე ვარდი,
მე კი ამ ღამით დამაკუნობს დარდი».

სალამურს გრძნობით უკრავდა მწყემსი,
გულს სიყვარულის ჩხვლეტავდა ნემსი,
და სალამურის ტირილი მწარე
მევდით ავსებდა იმ არემარეს. /

მომინდა დამწერარ დამკვრელის ნახვა,
ვკითხე: «რამ მოგდო ცეცხლის ალმური?»
მითხრა: «ის გოგო სხვა ვინმეს გაჰყვა,
მე დამრჩა დარჩი და სალამური».

ტრიალ მინდორზე ტიროდა შველი,
ცრემლით მოერწყო ზურმუხტი ველი;
მივეღ და ვკითხე: «რათ სტირი შველო,
მითხარ, იქნება რამე გიშველო?»

მომიგო: «ჩემი არ ძალგიძს შველა,
მე იმედები დავკარგე ყველა,
ვინაც მოყვარდა მომიკლეს გუშინ:
გლოვა და დარჩი ჩამოდგა გულში».

ბულბული, მწყემსი, ვარდი და შველი
უსიყვარულოდ შეებას არ ელის;
ყველას გულს უნგრევს დარჩი ფარულად.
«დარი არ დაროშს მათოვის დარულად».

1940.

პოეზი და პოეზია

ლექსი შუქია და ალი ცეცხლის,
 პოეტის ფიქრი: ელფის ნაკვესი,
 მკითხველის გული: თევზია ვეცხლის,
 სიტყვა ფხიანი: ოქროს ანკესი.

თუ იტყვი განცდალს, დამდაგველს, მართალი;
 თუ შიგ არ შეგვევა ჩმახვა მისხალიც,
 მკითხველის გული დაიწყებს ფართხალს,
 როგორც ანკესზე თევზი ცინცხალი.

პოეზია: გრიგალი ჭარი,
 სისხლი: მელანი და ნაწერები,
 რითმა ლამაზი: კალმახი ჩქარი,
 გრძნობა: ანკესი და ფაცირები.

გამართე ბადე... და გაფერილი
გქონდეს ანკესი, როგორც წესია,
თევზი გამძერალი, ვერ დაჭრილი
შეარცხვენს პოეტს და პოეზიას.

თუ ვერ აღმოთქვა მზიანი მღერა,
ჩაიყალ გულში... დუმილი სცადე;
ბერი ვერ იჭერს კალმახს, ვირც წვერას
და ბაყაყებით ეცხებათ ბადე.

პოეზია: გატეხვა ქვების:
ალმასის, ლალის და საფირონის,
პოეტი იგი ლირისია ქების:
ვინცა სოქვას გულის გასაგმირონი.

«გატეხვა ქვისა» ნიშნავს შოთას «გასტენი:
ქვასაცა მაგარსა», რომელიც ვ. ნოზაძემ ა. ე.
შესანიშნავად დაასაბუთა თავის «ვეჯხისტყა-
ოსანის ფერთამეტყველება».-ში.

1953.

მზავრის ამბავი

საბედისწერო გაიარე მრავალი წელი...
 დასჭირა იმედი, ვით ალერდი გვალვით ყანაში.
 შენ რომ გეცხოვრა, გეარსება ოქროს ხანაში,
 დაგიფარავდა თამარ მეფის ფიქალის ხელი

საღ არის შენოვის შემწეობა, ან და საშველი,
 ვინ დაამშვიდებს მოჯანყე სულს ღვთიურ
 ნანაში.

სწერ ქარვის ლექსებს და შედიხარ მკრთალ
 ნირვანაში,
 როგორც თავადი გეკვაარი ძროხების მცველი.

შენ გაიარე ფეხშიშველმა მრავალი ივლი,
 მაგრამ ვერ მიხველ დაპირებულ ლურჯ
 ქვეყანაში.
 დაეცი გზაზე სასიკვდილოთ დაჭრილი შვილი.

და კკნები მზეზე, ვით ალერდი გვალვით ყანაში:
 შენ რომ გეცხოვრა, გეარსება ოქროს ხანაში:
 დაგიფარავდა შვენიერი დედოფლის ხელი.

1929.

ცხენები

მზე ქალაქს ედება ცეცხლიან ენებით;
ასფალტზე ოლვრება: კუპრი და მელანი;
ქუჩაზე დამდგარან შებმული ცხენები.
დაღლილნი, დაღლილნი არიან ყველანი.

ცხენებმა იხილეს წარლენათა სადარი
ომები: მსოფლიოს გაფლეტის მდომელი.
მშიერი ფერდებით მათ დიდხანს ატარეს —
ჩინგისი, ატილა და მაკედონელი.

პაუზა დაღლილებს დაიპყრო ქიმიამ
ჰელიუმა, ომიც და მებრძოლიც.
და ცხენის მაგიერ გვაძლევს ენერგიას
მოტორი: ელექტრო — ბენცოლის.

დამშვიდდით ცხენებო! დრო დაღვა ნეტარი,
ყოფნაში შეიჭრა ახალი ფაქტორი:
ზეცაში მიაფრენს აპარატს მხედარი,
მიწისპირს მიარღვევს ტრაქტორი.

1927.

დილით საჩამოთან

აღგები დილით... ნელი ზმორებით
 ფიქტებს, ოცნებებს დამეში ნაკრებს
 და ლურჯ სიზმრების მუქი მორევით
 შენ მიაღები უძირო საჩეს.

დაწყებ ზანტად თმის გადავარცხნით,
 გრანჯავს სიმრავლე დაცენილ თმების
 და შენს გარშემო, მარჯვნით და მარცხნით
 ისმის შრიალი გაფრენილ წლების.

შენ ღრმა საყვედლურს ცივ საჩეს ახლი,
 ვით ფრთებს წყლის ჭავლებს თეთრი თოლაა,
 და გსურს არ გესვას ბეჭედი დაღლის
 და დაბერების მეღანქოლია.

მაგრამ დადგა გოდება უფრო ,
 თუ საკუთარ თავს საჩეში ხედავ —
 ვით მიცვალებულს, უჭირისუფლოს,
 ვით წყლის უფსკრულში ჩარჩენილ ცხედარ.

1931.

მიზანი ლეში ბეჭედობის...

(ლეში: სასოწარკვეთილ იჭვის დროს ყველა-
ფერზე).

კმარა ზღაპრები პოეტებო, სიცრუე მტკნარი,
ვერას გიშველით ძველ ნიმუშზე აჭრილი თარგი.
ცხოვრება შავი, უბადრუები და საცოდავი
არ გათეთრდება, არ გახდება ლირიკით კარვა.

მთელი ცხოვრება უგუნურობის ერცელი როფია,
და შიგ ნადირობს ფაცერებით ჭრელი ობობა.
ყველა ჩვენგანი: ჰონოქოები და მიკრობია
და ყველა ერთად: მიწის კანის ავათმყოფობა.

რას ნიშნავს სევდა, ეს მუსიკა, ყვავილთა სუნი?
ეს ზღაპარია მონაგონი და მავნე ჭორი.
იხტინება სწრაფად ბეჭემოტის მსუქანი მძორი,
შენ თავბრუ გესხმის და ქანაობ ვით მაიმუნი.

შენ კი გვონია, ომი იქმნება რაღაც მარადი,
 რაღაც დიდება, განწმედილი იდეა, სული.
 ეს არის უგნურ კაცუნების მთვრალი პარადი,
 ეს არის მიწა ლეშის სუნით გაბრუებული.
 სად აქვს საზომი განდიდების უაზჩო მდომელს? ვინ შეაკავებს აღვირახსნილთ სასწორ-დონეზე?
 უთუოდ ჯობდა დარიუსსა და მაკედონელს,
 დღით ლამფით ხელში მოწანწალე დიოგენესი—
 კმარა ზლაპრები, პოეტები, უქმი ნუგეში:
 მუსიკა, სევდა, ყვავილები, ლექსთა წყობები,
 მიწა მსუქან ბეჭემოტის გახტნილი ლეში:
 კაცობრიობა: ზაცილები და მიკრობები.

1930.

შოგზაურობა ბნელი დამით

დამეა ბნელი

და ნორდოსტის მძაფრი სუსხია,
 ლეგა ღრუბლები
 ბნელი ფრთებით სადღაც მიღიან...
 კას სამკაული

შეენიერი ჩამოუხსნია
 და ლეგენდარულ

გველეშაპზე გაუყიდია.
 გულში სიცრცეა
 სარკოფაგის, სული სველია.
 ფიჭიებს უცნაურს,

უკან მიესდევ, როგორც მარხილი.
 ჰო, რა სიჩუმე,
 სიმარტივე, რა სიპნელეა!

მე მივალ ჩუმად...
 მოწყენილი... და თავდახრილი.

1930.

შეჩიგვება

დამშვიდდი სულო! მღელვარება
 აკმარე ძარღვებს,
 დაემოზილე ამ ქარვისფერ
 მელანქოლიას.
 წომ პხერავ: ნისლი დედამიწას
 თავს დასწოლია
 და ქარიშხალი მთელ სამყაროს
 აქცეს და არღვევს.

შენი ცხოვრება ამბავია
 საწყალი მგზავრის,
 საპილიგრიმოთ რომ წავიდა
 მექქას, მეღინას ..
 ცას ცეცხლის ალი მაღანივით
 გაღმოედინა,
 ისმის ხრიალი დაკოდილი
 დიოხოზავრის.

ნუ გაღელვებენ, ნუ აგშლიან
 ძველი ნდომები,
 ენდე სიკვდილის გამოუცნობ,
 მისტიურ მანძილს
 და დაუბრუნე მარადიულ,
 პირველ ქმნილ ნაწილებ:
 შენი ყოველი მოლეკული
 და ატომები.

დამშვიდდი სულო! ჯანყის დროშას
 ნუ აფრიალებ,
 ნუ გაყანკალებს აგონია
 შენ გარდაცვლისა;
 შენ იგრძნობ ცეცხლის აღტაცებას,
 სირბილეს წყლისა,
 შენ სხვა სფეროთა პლანეტებზე
 იხეტიალებ.

1933.

सामृद्धिकीया लेखण

३० वर्षांचे लेखकांचे उत्तरांनी,
 मास उत्तरांनी दोषांना बोलावून
 डूळ आणि नाशी
 ताची अपवाह घेऊनी भाराती.
 लेखकांना साधवतांना
 अलंकारांना, क्रीतींना सिद्धांलांना
 डूळ आणि नाशी,
 यज्ञांना सिद्धांतांना — अलंकारांना.

युग्मांला रात्री
 वाचांनी वाचांनी गाम्यामा उत्तीर्ण
 डूळ आणि नाशी
 अपवाह घेऊनी भाराती;
 शोषांनी, अलंकारांनी
 उत्तरांनी दोषांनी,
 वाचांनी वाचांनी गाम्यामा
 अपवाह घेऊनी भाराती.

თუმც ლექსი არის
ცვალებადი როგორც ამინდი:
ხან ქარიშხალი,
ხან მზის კრიომა თოვლიან მთაზე,
მაგრამ ლექსია მუდამ
ნაღმი და დინამიტი,
რომ აფეთქებით
აგრძაცოს სხვა პლანეტაზე.

ვისაც არ ძალუქს
რომ აფრინდეს მეშვიდე ცაში,
სკობს ნუ დაშვრება
და ნუ იხმარს საცემრად ჩოგანს;
ის ჰეთერი იმ მხედარს,
დეზის ცემით ცხენს რომ არ ზოგადს
და ფრენის ნაცვლად,
მაჩანჩალებს ჯაგლავი «რაშიო».

1928.

დილით

თუ კა სუფთაა და მზეც ლივლიუბს,
ივიწყებ განვლილ ლამის სიავეს;
გახვალ და დილის ნარნარა სხივებს
გაუფენ სულის სინოტიავეს.

შენ ფურცლავ გულში საყვარელ წიგნებს,
შენ ითვლი ცაზე გაფრენილ მტრედებს;
და გულიც ისვე გარშემო იკრებს
სხვა აღტაცებებს და სხვა იმედებს.

მაგრამ თუ ლეგა ლრუბელი შავი
ცას სუფთა გუმბათს გადაეხურა;
ხარ ფრთა მოშლილი და საცოდავი,
უით გაწუნწული ტყეში ბეღურა.

ასეთი დღე არ გიშვევს ბინიდან...
ხარ მოწყენილი, კუშტი, მწყურვალე
და სვამ ზედიზედ წიოელ ლვინიდან
მზის ტემპერამენტს და სიმხურვალეს.

1926.

ცხიმლები ზვარში

დაბინდულ სმარაგდს შევპარა
 ქარვა ყვითელი;
 ბორიო ქარმა ფრთა მედგარი
 გაშალა ველში;
 დამწიფდა ცაცქა, საფერავი
 და რქაწითელი
 და მე წავედი მამიჩემის
 ვენახის რთველში.

მე მივდიოდი წინაპართა
 გათელილ კვალით,
 შორეულ ზღაპარს შრიალებდენ
 ცაცხის ტროები;
 მწიფე მტევნებში მზე ჭვიოდა
 და უფლის თვალი.
 და მე მინდოდა რომ ამეჭრა
 აკიდოები.

მაგრამ მემკვადრე ყაჩაღებმა
 დამჭრეს ვენახში
 და მძიმე, მძიმე იარებით
 დასერეს მკერდი.
 დარაზეს კარი, არ დამტოვეს
 საყვარელ ბალში
 და უბელური სხვის ბალჩაში
 მწირედ ავმლერდი.

მე ისევ მახსოვეს: გაფეოქილი
ჩვენი ხეხილი,
სამხარი, ყანა და ოდაში
სიმღერა წყნარი.

ჩვენი ვენახი დასეტყვილი
და დამეხილი
თურმე გაცილა (დედა მწურდა)
ეკლით და ნარით.

ტივი გრიგალი თავს დამკიფის
სხვის მიწაწყლებზე.
«ყოფნა, არ ყოფნა» — კიოხვა მწვავე
და დახლართული,
თუმც ბაგე ჩემი ამეტყველდა
უცხო ენებზე,
მაგრამ ხმა სისხლის ჩემს ლექსებში
ისმის ქართული.

და სისხლით არის შეღებილი
და დანამული
ყველა იარა: ქართველ გმირებს
მკერდზე რომ აზით, —
დედაო ლჟოსავ! დაიფარე
ჩვენი მამული
და გაახარე მამიჩემის
დამყნილი ვაზი.

1929.

მე შავი ზღვისპერ გაცხები ჩართვა

მეც მიმელოდნენ ქოჩწილში მაყრად,
ახლა მათ ვეტყვი: ნულარ მელიან.
მინდოდა მოსელა ამ ლხინზე, მაგრამ
დრო და მანძილი... მეტად გრძელია.

ვგევარ: ქარავანს მოწყვეტილ წეროს,
ჩამორჩენილს და დაღლილ ფრთებიანს;
ცისფერ ყვავილის მოვწყვიტავ ლეროს
და მივდევ ფიჭრებს ლურჯ აფრებიანს...

მე ისევ ვიწვი ტრფობით და ჟინით;;
ნდომა სურვილებს გამიათასებს
და მწერე შხამით შეფერილ ლვინით
ისევ ძირამდე გამოვცლი თასებს.

და თუმც შევუქე პირიმზეს ტანი,
რვალს ჩავაქსოვე ოქრო ნაჭედი,
მაგრამ ქაჯებს ჰყავთ ისევ ნესტანი
და იალბუზზე მოსჩანს ქაჯეთი.

და ეს ქოჩწილიც ვერ გამახარებს;
უთხარით მაყრებს: ნულარ მელიან.
მე შავი ზღვისკენ გავყვები ქაჩებს
და ფრთები ქარის მოულლელია.

1931.

გასვენება შემოდგომით

როცა დასრულდა
 სექტემბრის წვიმა და ქარი,
 ყვითელ ოქტომბერს
 წესს უგებდა ფუტკარის გუნდი;
 ცას ეკრა მკრთალად
 მილეულ მზის ღიმილი ბრუნდი;
 ბაღში ტიროდა
 დაცვენილი ფოთოლთ ლაშქარი.
 როცა გათავდა სექტემბერის
 წვიმა და ქარი,
 ყვითელ ოქტომბერს
 წესს უგებდა ფუტკარის გუნდი;

 ახლა ფუტკრებმაც
 მიაშურეს ზამთრის საბუღარის,
 სადაც შეჰქიბეს
 ცაცხებიდან თაფლი და ფიჭა —
 იდუმალ ძალით:

უმაღლესმა რომ მიანიჭა —
 ახლა ცაცხებიც
 მისტირიან ოქროსფერ სუდარს
 და ფუტკრის გუნდი
 უბრუნდება მყულრო საბუდარს,
 სადაც ზაფხულში
 შეაგროვეს თაფლი და ფიჭა.

მაღე გატბდება
 შენი მზერის ნათელ სხივიც
 და სულთათანას
 გიგალობებს ზუზუნი სკისა;
 მოგაგონდება
 მშობლიური კაშაში ცისა,
 მაგრამ მიგიღებს
 ყრუ სამარე უცხო და ცივი,
 გულში ჩაგრჩება
 ოქტომბრის მზის ფერმქრთალი სხივი,
 ძველი ცაცხების
 მრიალი და ზუზუნი სკისა.

1954.

ეგვიპტური ჩვენება

პალმების ჩრდილში, დატვირთული
 ძერელ მოგონებით
 ვიწევ და ჰაერს ედებოდა
 ალმური მზისი.
 მწვავდა მათოსი მე რამზესის
 და ოზირისის
 და მტკრად ქცეული ნეტარება
 ფარაონების.

ბნელი წარსული გასცემოდა
 შორეულ მერმის,
 და ხმა მესმოდა იზისის და
 ნეფროტეტესი.
 ვის შესწევს ძალი, რომ იხილოს
 რამ უკეთესი?
 და მათი ხილვა, მოწიწებით
 შევთხოვე ჰერმესს.

და გამობრძანდა ნილოსიდან
 იზისი მწველი,

და ნეფროტიტე, სილამაზის
 ძეელი არავი.
 სიმბოლო სიბრძნის: მათ გვირგვინებს
 ეხატა გველი,
 და თავთაუები; მნიშვნელობა:
 ნაყოფ-ბარაქის

ლოტოსი ფეხთ ქვეშ გაეფინათ
 ამ ღვთაურ ნიმფებს.
 ცა იყო სუფთა და კრიალა
 როგორც ფირუზი.
 მხევლებმა მუხლზე გაუშალეს
 მათ პაპირუსი
 და ფრთით ხატავდნენ საიდუმლო
 იუროგლიფებს.

ურიცხვა ქვები და აგური
 მოჰქონდათ მონებს
 და აშენებდნენ პირამიდებს
 და სარკოფაგებს.
 რომ არ მემზირა მათ შრომისთვის,
 არ მქონდა ლონე;
 ვუმზერდი სფინქსებს და დად ტაძრებს
 სიზუსტით ნაგებს.

მაგრამ ვეება კარიბჭესთან
 დაგრეხილ წვერით
 იდგა და ავად მიბლვერიდა
 ხარი აპისი;
 მისი შეხედვა საგნებს სწვავდა,
 ვით ლიაპისი,
 ეპრძოდა ნიანგს დედა-ლომი
 თავის ბოკვერით.

უეცრად მინად დაილეჭა
 ჰაერი ჩუმი
 და მკვდრის ძილიდან გამოირკვა
 უდაბნო ზანტათ,
 გაწითლდა ზეცა... ამოეარდა
 რისხეით სამუმა
 და ჩვენებასთან ყველაფერი
 მიფანტ-მოფანტა.

1932.

სიზმრები

პ.

ხშირად დაქანცულს როდესაც მძინავს,
ფერად სიზმრების გაიმის ძაფი,
როგორც მღინარის ჩაისფერი ქაფი
ძველ, დახავსებულ წისქვილის პრად.

თუ ნდომა მწეველ დღისით ვერ ახდა,
ღამე სიზმრებში მიღედინაცვლებს;
და სინამდვილეს შაშველს და გამხდარს
პრელ აბრეშუმის ჩაიცმევს საცვლებს.

და სანახავებს ნათელს და მზიანს
სპარსულ ნოხებათ ფერხთ ქვეშ გაიგებს;
ვხედავ: უდაბნოს ცხელს და სილიანს
და ცივ ქვეყნებში ულრან ტაიგებს.

კანალის წყლები — ცივი, ანკარა —
ოქროს თევზები — ჩინეთის ტბებში,
ლომის ლრიალი — ატლასის მთებში;
მთვლემარი ინდი და ნიაგარაც

თეალ წინ მეშლება უცხო მითებით;
 მსოფლიო სახის ჭრელ აღმანახებს
 ფურცლავს სიზმარი ყვითელ თითებით
 და ყოველივეს ცხადად მანახვებს.

პ.

მდინარე, ზღვები, ჭალა თუ მთები,
 სხვა და სხვა სახე სიზმარი მალი,
 იშლება ჩოგორც ყორანის ფრთები:
 შჩიალა, შვი და იდუმალი.

მაგრამ უეცრად სურათი ჰქონება,
 ვით ძველი ზღაპრის ჯადო-ფერია;
 ოცნება ჩემი სხვა სახეო ჰკრებავს,
 ვხედავ სიზმრების მახინჯ სერიას.

პ.

აწეულ კუზით მოხუცი ქალი,
 უკბილო ბაგით, ბნელ სათვალეთი,
 გამიშლის კარტებს ხელის კანკალით —
 ხელში შერჩება ყვავის ვალეტი.

ცხვირი: ნისკარტი კაპუეტ ქორის,
მუმია, ჩონჩხი, ყრუ მისტერია
და გამხმარ შუბლზე დაუწერია
მკრთალ ასოებით: «მემენტო მორი!»

შე კუდიანო, ჩემგან რას ელი,
რას მოგცემს ზვავი და ქარტეხალი?!
პო, ბედი ჩემი ხიდია ძველი,
ახლა ჩაშლილი და ჩატეხილი.

თუ ნდომა მწველი ვერ ახდეს დღისა,
სიზმრებში მიინც დამატებოს წამმა.
განვედი ჩემგან... დაგწყველოს ქრისტემ
და წმიდა გიორგიმ სამოცდასამმა.

8.

სხვაგვარ სურათებს ძილი მომისუეს,
სასტიკ სიზმრების ვერ ვუძლებ შვავებს,
ვხედავ მძლავრ ტალღებს მეწამულ ზღვისას
და შავ გველების შხამიან თავებს.

ვერ გავიქცები შეყულებს, მგონი,
და აფარიდო მათ მინდა თვალი,
თითქოს შევიქმენ ლათაკონი,
მხრებს მეჭიდება გვილების რქალი.

ბანჯგვლიან ქაჯის უხეში მასსა,
სულს შემიხუთავს, მკერდს დამედება
მინდა ვიყვირო: ვერ ვიღებ ხმასა.
მინდა გავიქცე: ფერხთ მეკვეთება.

გამელვიძება... საშინელ სიზმარს
ქარს დაუადევნებ მსხვრეულ მინებათ;
ავანთებ სანთელს და ვიწარ პარჯვარს,
სანამდე ისევ ჩამეძინება.

დ.

მოვრალ, მეამბოხე ქერა მეზღვაურს
მე დავამსგავსე სიზმები ჩემი,
მარად ტალღების რომ ისმენს ხმაურს
და მარად ზღვებში რომ მიჰყავს გემი.

მან კაპიტანი შებოჭა ძალით,
 ჯანყის ალამი გემზე ასწია,
 მაგრამ არ იცის ნავიგაცია
 და აუც მიზნისკენ სავალნი გზანი.

ეგრედ, როს დამღლის ფიქრი და შრომა
 და ძილი ტკბილი მომპარავს თვალებს.
 უცხო სიზმართა ფერიადი ქრონმა
 შოერალ მატროსივით მახეტიალებს.

5.

მე ნეტარება დიდ ხანს ვეძიე,
 მაგრამ ამ ქვეყნად ვერსად ვერ ვპოვ,
 ქარივით ფრთამალს ვერ დავეწი —
 გამოვიტიჩე და მივატოვე.

ან კი რას ნიშნავს ცბიერი შედი,
ქარივით ჩქარი და წარმავალი?
ვინ მოუგრიხა ქარიშხალს ქედა,
ვინ შეუცვალა წყლებს გზა სავალი?

როგორც ნამებით სოველი ყანა,
როგორც როგვის დროს ფერადი ქოში,
იყლევებს, ჰქონება ფატა მორგანა —
მწველი სურვილი, კრულ უდაბნოში.

აღელდეს ზღვანი... მოვარდეს ქარი...
იყეფოს ქარმა მთასა და ველში,
მთელი ცხოვრება სიზმარი არი,
სიზმარი ჰრელი: ვალეტით ხელში.

1929

მენი თიყვალ

(ბალადა ბალტაზარის)

მეფებანას შორეულს, უხესა და ნამანს,
 რომელსაც ეძახდნენ მესოპოტამიას,
 მეფობდა ძველ ღიოში მკაცრი, შესაზარი,
 ლვიოს აჩ მოშიშარი მეფე ბელტაზარი.
 გამართა ამ მეფემ ერთხელ წვეულება,
 როგორც ხელმწიფეებს ჰქონდათ ჩვეულება,
 და არვინ დასტოვა მან თავის მხარეში;
 ყველა დაპატიჟა: შინაურ — გარეშე-
 იყვნენ თავადები და ერასთავები,
 სხეა ქვეყნის ელჩები და მოურავები,
 იმათი ცოლები და მათი ხასები;
 ღვინოს მიირთმევდნენ სულ ოქროს თასებით.
 როცა შეზარხოშდნენ, მეფეს მოენება
 თავისი დიდების და ძალის ჩვენება.
 იხმო მან ხმამალლა თევისი მსახურები,

უბრძანა: საჭურჭლე გადანახულები,
 წალით, მოიტანეთ, მე ესე მწალია,
 ნახონ ჩემი ძალა თუ რა დიალია.

მსახურთა გააღეს ხაზინის კარები, —
 ნიუთები ძეირფასნი, შეუსაღარები
 მათ გამოიტანეს, რომ სტუმრებს აჩვენონ
 ღილი სამკაული, განძი თვალსაჩინო,
 ზურმუხტის ქამჩები, ყელთ შესაბმელები,
 უცხო კანკელები და კრეტსაბმელები,
 სულთა ბაჯალლოდან ნაჭელნი პურჭელნი,
 უცხო რამ გვირგვინნი, ქვებით მოოჭვილნი.
 ვერ ასწერს კალამი, ვერც ენა მგოსანის
 სიკეთეს, შეენებას ქვის პატიოსანის;
 და ამ განძეულლის დაწყვეს წვავები
 და მათ შეჰყურებლნენ სულთამშუთავები.

და ჩქვა ბალტაზარმა: «პა, ნახეთ რაც არი,
 მრავალი მტრის ცახე და ბევრი ტაძარი
 დავამხე, ხომ ხედავთ! ეს არის ნადავლა

მათ შემქმნელ ხალხების გვამებზე გადავლით.
 მონებათ გავხადე შე მათი წულები,
 თავის შესაჭევად მათი ქალწულები;
 ყველა ხელში ვიგდე: ოქრო და ზარალი,
 ჩემია დიდება, მეფობა მარალი».

ვერც კი დაამთავრა კვეხნა მის მიერი,
 მოხდა სასწაული მეტად გულხმიერი:
 ხელმა უჩინარმა, კედლის წინა მხარეს
 ციცხლით წააშერა: «მენე... ოკილ... ფარევ,
 რაც ნიშნავს: «ავწონეთ, მჩიტეა წონა».
 ყველა შენ სისხლიან საქმეთა კონა, —
 უმაღლესს სულ სხვა აქვს საწყავ და საზომი,
 მას ვერ გააკვირვებ ვერც ძარცვით, ვერც ომით.

იმ ღამეს ბალტაზარ მონებმა გაგუდეს,
 იმისი სატახტო მტრებმა გადამუგეს.
 მაგრამ აგონდება დღესაც ადამიანს
 დიდი ბაბილონი, მესოპოტამიაც.

1956.

პამჩობა ზღვისა და ქარის

(ხალხური თქმულება)

ქარმა სთქვა: «ზღვაო, ირხევი ნელა,
ხარ მეტად მდორე, ზანტი და მლაშე.
შენ მხოლოდ მაშინ ქანაობ, ღელავ,
როცა შენს ტალღებს შევათამაშებ.

არ ძალგიძს მთიდან რომ ჩამოეარდე,
იყნოსო ტყის და სურნელი კვარის,
მაისში ბაგე შეახო ვარდებს,
რთველში მტევნები დაკოცნო ზვარის.

ვფიქრობ: არა ხარ სიკეთის მდომი,
არა გაქვს ფიქრი ამ დღის, არც ხვალის,
შენ ტუსაღი ხარ საკუთარ ზომის
და ბრმა უფსერულში ჩამჯდარი თვალი».

ზღვამ უთხრა: «ქარო, ხარ ჰქონა მჩატე,
მგონი უსაქმოს, შური გაწვალებს,
საკუთარ ტყავში შენ თავს ვერ ატევ
და მოუსცენრად სულ დაწანწალებ.

არა გაქვს ნიჭი, კანონი ზომის
და არც შეგნება სიგრძე და განის;
ხან ვით დაჭრილი ღრიალებ ლომი,
ხანაც კიკინებ, როგორც თიკანი.

დაუვარცნელი რათა გაქვს ქინჩი,
რათ გეძახიან «ცოდვა-ბრალიანს»?
მე ვარ მდიდარი, ულევი, დინჯი,
წალი! საშენოდ როდი მცალია».

მიუგო ქარმა: «მიჰქარავ ზღვაო!
ზღაპარს უაზროს, მე ნუ მიყვები,
ვინაც არ გიცნობს ზეიალო, ავო,
ის შეაცდინე შენი სიტყვებით.

ხარ ჯოჯოხეთი, ქაჯებით სავსე,
 მელნის ობობებს, სატანის მღილებს,
 სულებს მიწიდან გამოდევნილებს
 შენს ბნელ უფსკრულში ერთად ათავსება».

ზღვამ გულმოსულმა მიუგო: «ქარო!
 ასე ბორიოტი მითხარ რათ ხარო?
 შენ ყველგან დაძრწი, ნუ თუ არ იცი,
 რომ უარ სალარო, ხაზინა მიწის!

მე აქ ვაგროვებ სიმდიდრის ბელტებს,
 ყველა ლითონებს და ელემენტებს
 და რაც ჩემ უღრმეს წყლებში შთანთქმულა,
 ის სამყაროსთვის არ დაკარგულა.
 ვარ შემოქმედის ძალი და რახტი —
 პოსეიდონის აქა დგას ტახტი».

ასე დასრულდა ეს პატრობა,
 დამარცხდა ქარი, ამბობს არავი;
 მეოსანს არა სურს აწ მეტის თხრობა
 რომ არ გაგრძელდეს აქ ლაპარავი.
 1956.

360030 603050

ლურჯი მონოკლი

გიუური გაშვებით და თავ ანაშვები
 ეოლის რაშები დაჰქროდნენ ფრთამალი...
 ოცნებას სციოდა, ლრუბლები სდიოდა,
 გრიგალი ჰყიოდა და ცეცხლი მამალი.
 ქალაქი იწეოდა... არავინ იცოდა,
 სად იყვნენ წუთები საბედისწერონი;
 ვუსმენდი გოდებას, ამ გაბოროტებას,
 ამ ცეცხლის მოდებას მე, როგორც ნერონი.
 — ლურჯი მონოკლით.

... და ლურჯ მონოკლში ცისფრად სჩანდა...
 ცეცხლის არული
 სისხლი და კვამლი, წარღვნა, რღვევა,
 შფოთი და ცოფი.
 ილუპებოდა ამ ქალაქში
 ლრმა სიყვარული —
 ვიღაც შეშლილის, ვიღაც იქსის,
 ვიღაც უცნობის.
 კიდითიკიდე გაისმოდა
 მდურება ბედის,
 გინება დედის, გალეშილი

— 1 —

სისხლიან ყასბის.

მე დავინახე ზღვა ლანდებში
 ნილოსის გედი —

ფიქალის მკერდზე რომ იჯენდა
 საშინელ ასპილს.

მე შევამჩნიე აჩრდილებში
 ოესოს გავლაც,
 არეის შველოდა (თუმც უხმობდნენ
 მას გამალებით).

ბებერ ბელზებელს დასცემოდა
 შიშისგან დამბლა,
 ევდო მიწაზე და ისროდა
 სეტყვას თვალებით.

სახურავებზე ასლოდა
 ქალაქს არული
 და ეცემოდა სეტყვასავით
 რეინა და თუჭი
 მელუპებოდა ამ ქალაქში
 ღრმა სიყვარული,
 მაგრამ მჩჩებოდა სანუგეშოდ:
 — მონოკლი ლურჯი.

36 ცელი ჩალაში

ვრცელი ქალაქი

შემოგხალტავს ძარღვიან მკლავებს,
მკლავებს გატენილთ
ელექტრონით და რადიოთ.

ნეონის შექთან

წარმევიათ ფერი ვარსკვლავებს,
მთვარე აცხია
ცის ნაფლეთებს, როგორც იოდი.

აქ იყო წინად

ცარცისა და ყინულის ხანა
და მამუტები

დადიოდნენ თეთრი ეშვებით.
ახლა კი მფრინავთ

დაუპყრია მთელი ქვეყანა:
ხან აღის ზევით დირიქაბლი,

ხან ძირს ეშვება.
ისე გაისმის მოტორების

ბრძოლა მქშინავი,
თითქოს მოდიან

ურდოები ძევლი მექქიდან.
ცაში გაიხსნა

პარაშუტი და მას მფრინავი
გადმოვარდნილი, ჰაერიდან ჩამოეკიდა.

შენს კაფე-ბარებს,
 რესტორანებს, ღამის ლოკალებს.
 შეჰედლებიან
 მაკლერები, ყალბი დიდებით;
 ქუჩაში ბირეა
 გაუმართავთ შეღებილ ქალებს,
 სოველ ასფალტზე
 მათხოვრობენ ინვალიდები.
 შენი ქუჩები —
 მორწყულია მშიერთა სისხლით
 დანახარჯ შჩომის
 რომ იღებენ მხოლოდ მინიმუმს,
 შენს სახურავებს
 დასწოლია ქარხნების ნისლი, —
 ნისლი წააგავს
 გადაღობილ ალუმინიუმს.
 ქანაობს ქუჩა:
 ზღვის ტალღების ვით მიმოჭუვა...
 შენი დოვლათი
 და სიმდიდრე ზღვა, ულევია.
 ასე ჰყვაოდნენ
 ღვთის რისხვამდე და დაჭუვამდე:=
 ძველი ლუქსორი,
 ბაბილონი და ნინევია.

1928.

გერმანის ზარის დროს

(ვუძღვნი ქბ. ნინო სალიას)

საღამოვდება... და გალობა
 ანგელოსთ დასთა —
 თითქოს მოისმის დამთრგუნველი
 ქვეყნიურ ვნების.
 როგორც ხაესიან ძველი ციხის
 ნაგრევი ზლვასთან,
 ისე დაიქცა სიამაყე
 ჩემი ოცნების.

მაგრამ ვიგრძენი ნეტარება
 / უფრო დიადი:
 თათქოს აინთო უკრობ ხელით
 სულში სანთელი.
 გაჰქრა ზრახვათა და ნდობების
 მუქი წყვდიადი
 და განვიცადე სხვა სინათლე
 და ურუანტელი.

საღამოცდება და სხივებთან
 თანდათან ჰქონდება
 მწუხრის ზარები, — შემოქმედის
 მაღალ ქებაში
 ვის ძალუბს გახსნას უფლის ზრახვა
 და მისი ნება
 და რყალი ჯაჭვის მარადიულ
 მის განგებაში?

ნელინელ შედის არემარე
 მდუმარე ჩრდილში,
 ველზე ეცემა ბუმბერაზი
 აჩრდილი მთისა;
 დაბადებაში, სიცოცხლეში
 და თვით სუკვდალში
 მე ვერძნობ: გარდუვალ, საიდუმლო
 განზრახვას ღვთისა.

1956.

პარლო იაზვილის ხსოვეან

შენ მოგეწყვინა

შექსპირი და ყვითელი დანტე,
მაგრამ რუსთველის

გწვავდა ცეცხლი და ხეაშიადი.
ფარშავანგებით

შემორკალე მუქი წყვდიადი,
ახალ შაირის

ჩირალდანი როცა აანთე.

უალდის შალი,

ყელსახვევი და ხელთათმანი
გხიბლავდა მეტად.

(ხეტიალში გაცვითე ბევრი).

მაგრამ გიყვარდა

უფრო მეტად კალო და კინა
და ზემოური

უტყუარი სწორი ბათმანი.

იყავ შუქურა

პოეზიის კაშკაშა ცაზე,
 შეტროუდი ქნუტებს
 და ჩემი ალმას ღვინია ხარებს.
 ლექსები, ლვინო
 და მწვადები აღარ გახარებს, —
 წახვედი ასე
 შხამიან და წამებულთ გზაზე.
 მაგრამ შენ სახელს

დააფენენ დაფნას და იას
 და ვინც ახსენებს
 პოეტების სახელებს მზიანს:
 გრიგოლს, ტიციანს,
 გალაქტიონს და ვალერიანს,
 ის შენ სახელსაც
 პირველთ შორის მოიხსენიებს.

1946.

მცირე რამ ოდა ჩუსთაველს

მარად ნათელით, თვითონ მზე ხარ ამომავალი,
 ვით შეედაროს მზეს სატურნი, ან სირიუსი?
 იყვნენ მწერლები, პოეტები ქვეყნად მრავალი:
 დიდი ჰომერი,
 ქაიამი და ფირდოუსი;
 იყო ციური ბეატრიჩე
 უკვდავ დანტესი,
 ბრძენი გოეთე, ბაირონი
 და სერვანტესი,
 და ნაწერები და წიგნები, ლვითურ მირონით
 ბნელს რომ შუქს ჰყენენ:
 ვით ალმასი და საფირონი.
 ყველა სახელებს ვინ ჩამოთვლის
 ძველსა და ახალს,
 გენიოსების წათელ კრებულს
 მრავალ წყებიანს,
 მაგრამ ჯერ პოეტს,
 ზოთავ!
 შენჯე დიღსა და მაღალს
 ჩეენ პლანეტაზე ლექსის წერა არ დისეზია.

1931.

გრიგოლ როშაშიძეს

(«ორი ფოთოლის» გამო)

შენ გამოჰკვეთე სიტყვებიდან ძვირფასი ქვეპა,
ფერები: ლუში, მეწამული და ყარამფილი,
აღ მასი, ლალი უმტკიცესი, ხან ტყევია ჩბილა,
ზეკაცია აზრი და მითოსი ბრძენი მოგვების.

საკუთარ ფიქრთა და გრძნობების ხანძარით
თბები,
როცა იწვები ბნელი ლამით ვით თაფლის ცვილი-
ივლიტეს, მეგის და ლამარას მწუხარე ჩრდილი:
მარმარილოზე დანთხეული სისხლის წვეთები.

ყველა ოცნება, სიხარული და იმედები
ფრთების ტკაცუნით ცას გაჰკვეთენ როგორც
მტრედები,
რომ კვლავ იხილონ მშობლიური ოდის კარები,
სადაც დაზრდილან: ლონდა, მეგი და ლამარება.

1956.

მხოლოდ არასოდეს

(ფიქრები ედგარ პოეზია)

მოსჩანს სარკმლიდან ღრუბლით დაჭარგული-
დისკო გაცრეცილი მთვარის ავიონი.
იყვნენ პოეტები შენზე დაკარგულნიც:
ტერენტი გრანელი და

ფრანსუა ვიონი.

ლექსის სიხალისეს სხვისთვის იმეტებდი...
მაგრამ შეისუდრე თალხი წყვდიადებით.
ნეტავ სით გაფრინდნენ ყველა იმედები:
გუნდი მტრედებისა და განთიადები?

უკან კლდეებია, სჩანან წინ ველები...
ხედავ ჭაცის მკვლელებს მრავალ კადრებიანს—
შენს გულს დაფლითავენ შავი ფრინველები,
ლამის ვამპირები სისხლით დათვრებიან.

სადღაც ბოლტიმორში კაცი საქვირველი
ხშირად ლენორაზე ბნელ ფიქრს ეძლეოდა;
შავი ნახშირივით ყვავი საშინელი
იმის სიმარტოვეს ლამით ეწვეოდა.

არის სასურველი: შავი ფრთოსნისათვის —
სახლის ყველა კარი მაგრად ჩარაზოდეს, —
ყორნის პასუხია ობოლ მგოსნისათვის

ყველა შეკითხვაზე:

მხოლოდ «არასოდეს!»

მარტო «არასოდეს!»

დალი და დიანა

5.

ვრაალის კოშკი კლდის ქიმეზე ზანზაბეს ქარში,
მყუდრო დარბაზში გაშხვართულა მძინარე
დალი.

დარაჯათ კართან — შუბით ხელში დგას
პარსიფალი.

ცხრათვალა დევის მძიმე გორდა გამტყდარა
ტარში.

თითქოს ულიმის ნეტარებას უცხო სიზმარში,
გეღის ფერ კისერს მოხვევია ოქროს დალალი.
ღვთიური ძღვენი: საფირონი, ქარვა და ლალი
— მწიფე მტევნები, ჩაკრეფილი ალმასის ძარში.

ძველი თქმულების სურნელება იწვება კვარში
და ბნელ პალატებს სინათლეს ჰუნის მისი
პარპალი,

ცხრაფეხა პანი გადაკრული ცეკვას მარანში.

და ძველი კოშკი კლდის ქიმეზე ინგრევა ქარში,
ნალეს მაკრატლით იკვეცება ოქროს დალალი;
შედიან ნისლში მზეჭაბუკი და ამორბალი.

ბ.

ზის აქტეონი ტყის წყაროსთან შეერის
შუჩქებში
და პვრეტს ფარულად მობანავე, ტიტველ
დიანას —
ფიქალის ტანმა მყუდრო სისხლი მას აუჩქეფა,
ჭალლმერთის შუქმა ტყის სიმწვანე გაამზიანა.

მაგრამ დიანას არ ახარებს მზერა ქურდული
და სოველ ტანზე ჩამოყარა თმების ტევრები.
აღმართა თვალნი გაბასრულნი, ვით სატევრები
და დამალულ ყრმას მიახალა როგორც
შურდული.

დ ქალის გული განრისხების ფიფქმა დათოვა,
შურისძიების შემოევლო ბაგებს სირმა.
მოაჯადოვეს აქტეონი რქაყრილ ირმად
და მიუსია საკუთარი ძალლების ხროვა.

ახლა დიანა თვითონ უმზერს ირმის წვალებას,
სისხლიან ლაშებს ილოკავენ ავი მწევრები,
და იდას მთების დაბურუილი მუქი მტევრები
მოსოქვამენ ქარში: აქტეონის გარდაცვალებას.

1955.

ილიას დაღუპის 50 წლის თავშე

იყო ის ხანა

კურთხულთა წელთა რაგების,
როცა ცხოვრობდი აქ, ჩენ შორის,
ჩვენთ ილიაც!

გ მოაფხიზლე, გაანათე ბნელი ქვეყანა,
მქადაგებელთ სიყვარულის და შერიგების —
და შენი ღვაწლი დღევანდლამდე არ დაილია.

შენ რომ გამოჩნდი, ძლიერ ბუუტავდა ქართლის
კერია.

გვეხვია მტერი: აბეზარი კოლო-ბუზივით.
დადექ საომრად: ბუმბერაზი იალბუზივით
და ამ ბრძოლაში: შენ ვერავინ ვერ მოგერა.

იდექი მარტო უძლევილი, სალი კლდესავით,
ხელთ გეპყრა მხოლოდ: კალამი და სიმართლ ც
კუერთხი.

შენს წმიდა ლოცვებს ყურს უგდებდა ზეცაში
ღმერთი
და გააცოცხლე საქართველო ლაზარესავით.
როცა გესროლეს წიწამურში მუხოალი ტყვას,
განა შენ მოგკლეს? ჩვენც დაგვეოდეს; შენთან
ზიარად;
ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია, ჩვენო
ილიავ,
და გულში დაგვაქვს შენ სახელთან მწარე
იარად.

1958.

სიმონიკა ბერძიანის ხსოვნას.

თუმც არ გიელერა ხანგრძლივად ჩანგმა,
 გადანერგულო ალვა, ობოლო,
 მაინც გაშალე ვით ფარშავანგმა
 შენ შაირების მარაო, ბოლო.

და გაჰერი უკვლოდ, არც კი მოგვესმა
 უკანასკნელი სიმღერა გედის.
 და ვფიქრობ: იქნებ წაგილო ზევსმა
 ცოცხლად ოლიმპზე, ვით განიმედი.

ძმაო! სად ჩაშრა მაგ თვალთა ნამი,
 ვეძებთ შენ საფლავს, შენ კუბოს ფიცარს,
 რომ დავაყაროთ სულ ათი გრამი
 მკერდზე ნაკიდი ქართული მიწა.

მაგრამ რას მისცემს საფლავი პოეტს,
 თუ ის მშობლიურ მიწის არ არის?
 განა სიმშვიდეს იგი იქ ჰპოვებს,
 როცა ხსოვნა სწავეს ფირუზ კამარის.

და ერთხელ ღამით ამოხვალ უბრად,
 დასტოვებ სამარხს და უცხო მხარეს
 და თან გამყვები, ქცეული ღრუბლად;
 საქართველოსკენ მიმავალ ქარებს.

გადიჭროლებენ ქარები ზღვაზე
 და რომ დაგროვებს ქარიშხლის ზვავი,
 შენ გაჩერდები ბახმაროს მთაზე, —
 ფარას მომწყდარი ობოლი კრავი.

პოეტო, ძმაო ჩაგიერი ისე,
 როგორც გრიგალში წმიდა სანთელი,
 მაგრამ ლექსებში ჩვენ გულს სწვავ ისევ
 გრძნობით, სურნელით და ერუანტელით.

1957.

აზილებ კალამს...

ავილებ კალამს... მელნად ხდება მუქი ნაღვი ლა.
თვალ წინ გადივლის სურათები ნაირნარი.
ეწყობა ლექსი, იმარცვლება ისევ შაირი —
ძველ მოგონების და ოცნების გამომსახველი.

ახლა სადა ხაჩ, რომელ მხარეს, საღით წახველა?
შენ რომ იყავი იდუმალი და სხვანაირი!
თაოქოს ხმა მესმის ტაშისცემის, ლხინის, დაირის,
შენ კი არ ჩანხარ, აღარა უარ შენი მნახველი.

მჯერა: იმ ლექსებს იქნებ დიდხანს შეაჩეს
მკითხველი,
მჯერა ეს გულიც გადაურჩეს იქნებ ობლობას,
მაგრამ ჩემ სევდას, სიმარტოვეს, უსამშობლობას
განა ჰყავს ქვეყნად მეგობარი და გამკითხველი?
ვით ძველი ციხე ძველ დიდებას
და ძველ ქონებას,
მეც თან მივტირი ყრჩობის ზღაპარს
და მოგონებას.

1927.

ოოლის წერილი

გამგზავრების წინ

ძვირფასო გომრგი, საყვარელო
 მეუღლე ჩემო!
 მინდა ამ ბარათს, მგზავრობის წინ
 ცოტა რამ დავროთ;
 მოიქცე ისე, როგორცა ვჭერ
 ყველაფერს ქვემოდ
 იმ ხნის მანძილზე, სანამდე ხარ
 უჩემოდ, მარტო.

სამრშაოდან შინ რომ მოხვალ,
 შენ გენაცელები,
 მიაღე ვანა, მოგასცენებს...
 გამოვაცოცხლებს;
 კომოდის პირველ უჯრაშია
 სუფთა საცელები
 და მეორეში ნახავ წინდებს
 და ცხვირსახოცებს.

საგნებს ნუ მიჰყრი აქეთ იქეთ
 გამოცვლილთ, ძელებს,
 იმის იმედით, რომ მე ავკრებ,
 ზრუნვას ჩვეული.
 წარსვი «ვაჭისი» ყოველ დილით
 შენს ფეხსაცმელებს,
 რომ არავინ სთქვას: «მარტოდ დარჩა
 ქრისტი, ეული».

საყინულები ძეხვია
 და ნაჭერი ლორის,
 კარაჭი, ყველი და კვერცხებიც,
 რაც გინდა ყველა.
 როცა იხმარო ფინჯანი
 და საინი ორი,
 გარეცხე საპნით, ვახშმისთვის
 და ყავის სასმელად.

არ დაგავიწყდეს: კწუტს რომ მისცე
 რძე და საჭმელი
 და მაღვიძძარი საათი კი
 მომართო «რვაზე».
 დაძინების წინ ელექტრონის

დაგიტე ჩქერი
 და რაც თავია: არ დატოვო
 გახსნილი გაზი.

დეირფასო! გირჩევ პოეზიის
 დაუშვა ფარდა;
 სჯობია, იყვე სასარგებლო
 საქმით გართული.
 კინ დაგიფასებს რას მიიღებ
 გინების გარდა?
 შერია მხოლოდ პონორარი
 ემიგრანტული.

და მაინც ვფიქრობ: რომ უფალი
 წრ დაგიკარგავს
 ნაჭირნახულებს — და ამ ქვეყნად
 დაგრჩება კვალი.
 ნახვამდის... მჯერა ყველაფერი
 დამხვდება კარგად
 და სიყვარულით გკოცნის
 შენი მეუღლი ვალი.

1957.

წილად ხვდებოდა...

წილად ხვდებოდა მას უკვდავება,
 ვინც დაიფლობდა შენს ბაგეს წითელს
 და მეც მომინდა მისი შექება:
 ვით სურის ქება სურის გამყიდველს.

მაგრამ სურიდან ვერ შევსეი წყალი
 და მე მწყურვალე, როცა შებინდდა,
 ავკვენესდი, როგორც დაჭრილი გალლი,
 სისხლით გაესილი ტრანშეებიდან.

და რომ მიჩქმალო და მიაძინო
 ძველი განცდების პარპალია ოლი:
 შედი კაფეში, გადაჰქარ ღვინო
 და შეიყვარე მუსიკა მთვრალი.
 შენ ნულარ დარდობ დაცვენილ ფოთლებსა,
 არც გული დაგწევას დამჭერარმა იამ;
 ღვინო პარზში ხიბლავდა ბოდლერს.,
 და ეშნაპურში — ომარ ქაიამს.
 ღვინო და ლურჯი ცის კაბადონი
 გულში აგიშლის სურვილს მღერისას,
 გულში, საღაც ძევს სახე მაღონის:
 ნატეხი ქისტის ხანჯლის წვერისა.

1928.

დაბრულება დილით

ვუძღვნი გივი კობახიძეს

ჯერ სილამაზე ბუნების არ სჩანს,
არც თეთრი ჩალმა შორეულ მოების,
მაგრამ ძლიერი ფეთქს მიწის მაჯა:
გადმოვარდნილი ხევებში წყლები.

შენ დაბრუნდები განთიადისას,
როცა ფოთლებზე ციმციმებს ცვარი;
როცა ცივ ნიავს შორეულ მთისას
მოაქვს სურნელი შეერის და კვარის.

«ვაშა შენს მოსკოვის! მოყვარევ კარგო!»,
 მოგეგებება რაჭის ტყიველი.
 «ვანა ლიჩს სხვაგან გადაიკარგო,
 როცა აქ არის სა-უციველი?»

«ჰო, ეს სოფელი მსგავსია ბინდის!»,
 საღ არ გატარებს ბედის ტრიალი!
 შეპყურებ ტაძარს; ძეველ ნიკორწმინდის,
 გესმის შაორის ჩქეფა, ჩქრიალი.

თენდება... ყეფა გაუწყდათ ძალლებს...
 გაფრინდა მთვარე; ოქროს ალალი,
 შორის, ერთ გორაკზე მოსჩანს სასახლე
 როსტომ ერისთვის ნასახლკარალი.

1958.

შესახლობაზი

შორს დარჩა ჩვენი ვენახი, ყანა
 და ჩვენი სოფლის ჭალა და ხევი.
 შორს მოსჩანს ჩემი ზავშობის ხანა,
 როგორც ღრუბლებში შუქის ნახევი.

ასე წარვიდენ დღეები სწრაფი
 ჩემთვის განგებით მომიჯნილები.
 ჩემს ქართულ აკვანს ეკიდა ძაფით
 ქარვის კაკლები და ღინჭილები.

აშ ეს წარსული ჩემ თვალ წინ ბრწყინავს
 და განუზომელ ღრუოთა პინდებში
 მე მეჩვენება: ოდესლაც... წინალ...
 გვალობდი ნათელ ქერუპამებში.

სამშობლოს ფიქტი და გულის ფეოქტა,
 თითქოს შორიდან კვლავ მეფერება
 და თუ ის ვერ ვთქვი, ჩაც უნდა მეთქვა,
 შემინდეთ სუსტი ამომლერება.

და როს მომიწევს სუდარის ჩაცმა;
 როცა ხარონი ამიყვანს ნავზე,
 შეუნდოს ღმერთმა, შეუნდოს კაცმა
 პოეტს, სევდით და ნაღველით საკსეს.



ყდა შალვა ცინცაძისა

ჩუქურთმანი სვეტების სურათი
 ვაღმოლებულია წიგნიდან —
 «ვირველი ქართველი გრავიორი».



Imprenta: "EL IMPARCIAL".
Santiago — Chile.

[E-70]

33/115
35

$$\begin{array}{r} 15.326 \\ \hline 2 \end{array}$$